140
1988 1/2

ISSN 0132 – 6007

ЗНАНИЕ

1
1988

ფერმიდან ზანტად, თითო-თითოდ გამოდიან ძროხები და საძოვრისკენ მიდიან. — იფ. რა კარგები ხართ, თქვენი ჭირიმეო, — ამგონს გულში კატარა მწყემსი.

ოჯახის ქეიფი

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ფოტო თ. ცაგარელისა

ალაზნის ველზე მთელ დღეს ზღვასავით იწვა ნისლი. საღამო ხანს კი კვამლივით აიშალა და მძიმე-მძიმედ ენამთისკენ წამოვიდა, თეთრად აავსო ხეობები, გააუჩინარა გალმა-გამოღმა ტყიანი ფერდობები, ძეძვითა და ჯაგრცხილით დაფარული საძოვრები. ირგვლივ გარკვევით აღარაფერი ჩანდა. ნისლში ჩაიმალა ფერმისკენ მიმავალი ნახირიც და ამიტომ იყო, რომ მისი მწყემსი, იმ-ლოში. ფრთხილობდა, ბალახზე დახარბებულ რომელიმე ძროხას გვერდზე არ გადაეხვია და მერე იმ ნისლში საძებარი არ გახდომოდა.



ძროხას ფერმაშიც გულუხვად ჰკვებავენ. იმედა სილოსით ავსებს საკვებურს.

ედა, თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი, მთის კალთაზე შეფენილ ძროხას ხან თავში მოექცეოდა, ხან ბოლოს, ბიჭს მეტადრე „ავარასკენ“ ეჭირა თვალი, ეს სახელი მამამისმა ელდარმა შეარქვა ძროხას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი კაცი მარტო მაგას უნდა, რომ სდიოს, თორემ თვალსა და ხელს შუა იპარება, ნახირიდან შორს უყვარს ძოვაო, — ამბობდა ხოლმე.

მართლა ასეთი იყო „ავარა“. იმედამ იმ ზაფხულს გამოსცადა, რა „ბვითოც“ ბრძანებულა. ერთ დღეს ფერმის ზემოთ, ტყიან გორაკებს შორის პატარა ტბა რომ არის, ნახირს იქ ახლოს აძოვებდა. ტბაზე რამდენიმე იმედას კბილა ყმაწვილი ანკესებით თევზაობდა. ბიჭი იმათ ცქერაში გაერთო. უცებ „ავარა“ გაახსენდა, იმას ხომ ერთ წუთს თვალი არ მოსცილდებოდა! ხედავს, უკვე ნახირში აღარ იყო, ტყეში შეერგო თავი. მაშინვე ტყიდან გამოაგდო და იმის მერე ტბასთან ძროხები აღარ უძოვებია.

უხეირო ზნე მარტო ეგა სჭირს, თორემ სხვაფრივ კარგი ძროხაა. დღეში რვა-ათ ლიტრ რძეს იწველის. მერე რა რძე იცის, მსუყე და ცხიმიანი! მაია როცა წველის, ხელის თითებზე თეთრი საღებავივით ეგლისება.

მაია იმედას უმცროსი დაიკოა, მეორეკლასელია. ბიჭს კიდევ ორი, თავისზე უფროსი და ჰყავს — ვარდიკო და მარინე. ვარდიკო წითელწყაროს № 72 პროფტექნიკური სასწავლებლის მესამე კურსის მოსწავლეა, ვეტფერშლის პროფესიას ეუფლება. მარინე მეშვიდე კლასშია, ხოლო იმედა — მეექვსეში.

ოთხივენი ბეჯითად სწავლობენ და ოთხივეს ძალიან უყვარს მშობლების მიხმარება. მაია, დროს იპოვის თუ არა, განსაკუთრებით შაბათ-კვირაობით, უფროს დებს ფერმაში მიჰყვება. ხშირად კი იმედას აეტუნტულება ხოლმე და დედას ძროხების წველაში ეშველება. ამოჩემებული ჰყავს სამი ძროხა: „ავარა“, „შროშანა“ და „ოქროა“. ჯერ, როგორც გამოცდილ მწველავებს სჩვევიათ, ძროხებს თბილი წყლით ცურებს ჩამოჰბანს, მერე დაბალ სკამზე დასკუპდება და რძესაც შხაპაშხუპი გააქვს ვედროში.

ფერმა მათი სოფლიდან — ჯაფარიძიდან ოთხიოდე კილომეტრით არის დაშორებული. ეს მანძილი არც მაიას ადარდებს, არც მის დებსა და ძმას: სოფლიდან ალაზნის ველისკენ მიმავალი გზა ფერმის გვერდით გადის და იქით მიმავალ ავტომანქანებს დაემგზავრებიან ხოლმე. მძღოლები კარგად იცნობენ შრომისმოყვარე ჩიტაშვილების ოჯახს და აბა, ვინ ეტყვის უარს.

შხაპ-შხუპ! — გააქვს რძეს ვედროში შხაპუნი.

ამას წინათ (შაბათი დღე იყო) იმედას მამა, ელდარი ახმეტის რაიონის სოფელ ხალაწანში საქმეზე წავიდა, ას ოცდაათი სული ძროხა ბიჭს ჩააბარა სამწყემსავად და უთხრა:

— ოჯახის კაცო, დღეს და ხვაღ

მალე საძოვრიდან ნახირი დაბრუნდება, საწველი აპარატი მზად არის.

შინ არ ვიქნები, ნახირს თვალისჩინივით მოუარე, შენი იმედი მაქვსო.

ეს ნდობა იმედამ წლეულს, ზაფხულის არდადეგებზე დაიმსახურა. მამა კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლებს ეხმარებოდა და ის სამი თვე მამის მაგიერ მწყემსავდა ძროხას. თავმჯდომარე ნიკო ყოჩიაშვილი ისე არ აივლ-ჩაივლიდა ფერმასთან, რომ იმედა არ მოეკითხა, ჩვენი ნორჩი მწყემსი როგორ არისო.

საქართველოს ა.ლ.კ.ყ. ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ჯიბანელი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა 1 იანვარი 1988

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რეს-ებ. ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობის გამგეობამ კიდეც დაუფასა ყმაწვილს გარჯილობა, შრომის საზღაურად 400 მანეთი არგუნეს. იმ ფულით დედამ იმედას და გოგონებს სასექტემბროდ სასკოლო ფორმები უყიდა, ხოლო ოჯახისათვის მაცივარი შეიძინეს.

ამ დღეებში იმედას დედა ავად გახდა. წუხდა, ვინ მოსწველის იმ ოცდახუთ ძროხას, მე რომ ვუვლი, მწველავი ქალები ფერმაში ისედაც ცოტანი ვართო.

— შენ მაგაზე ნუ იდარდებ,—უთხრა ვარდიკომ, ფერმაში წავიდა და რამდენიმე დღე, ვიდრე დედა მომჯობინდებოდა, ძროხებს ის წველიდა. მარინე და მაია კი ავადმყოფს უვლიდნენ, სახლ-კარს პატრონობდნენ.

— ნეტავი მაგათ მშობლებსა, რა კარგი შვილები ჰყავთო, — ხშირად ამბობენ ჯაფარიძელები ვარდიკო, მარინე, იმედა და მაია ჩიტაშვილებზე.

●

ნისლმა დაასველა ენამთის ფერდობები, დაალბო ხმელი, ყვითელი ბალახი. ჯაგრცხილის, ძეძვისა თუ კვრინჩხის ფოთოლშემოძარცვულ ტოტებს მძივებივით დაეკიდა წყლის პაწაწინა წვეთები.

ნისლმა თან მეტი სიცივე მოიტანა. უბერავს თავაწყვეტილი წანწალა ნიავი და იმედას ცხვირსა და ყურებზე ჭინჭარივით სუსხავს. ხელის თითები დააძრა, მაგრამ ბიჭი აინუნშიაც არ აგდებს. ფერმა შორს აღარ არის, საცაა, მივა და გათბება.

ხბოსავით მაღალი, ყურებდაჭრილი ძაღლი ერთგულად მოსდევს გვერდით იმედას. მალ-მალე სველ ბალანს იბერტყავს. სმენაგამახვილებული მრისხანედ აქეთ-იქით იყურება. ზოგჯერ საეჭვო ხმებს გაიგონებს და იმ მხარეს ნისლში იკარგება, რაღაცას შეუყეფს და უკანვე ბრუნდება.

— იმედაა! — საღამოს ბინდბუნდში ისმის ქალის ძახილი. ეს ბიჭის დედაა, რატომ დააგვიანაო, გულმა ვერ მოუთმინა და იძახის.

— იმედაა! — ახლა ბავშვის წკრიალა ხმა შემოესმა. ეს კი მაიაა.

— ნეტავი რას მეძახიან, დავიკარგები თუ რა! — ამბობს იმედა და ეხმიანება: — ეჰე-ჰეე, მოვდივარ, მოვდივარ!

— ღავ, ღავ! — მხიარულად ყეფს ძაღლი და კუდის ქიცინით შემოსცქერის იმედას.

„ᲨᲠᲝᲨᲐᲜᲐᲡ“ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲓᲒᲐᲡ ᲒᲐᲢᲠᲣᲜᲣᲚᲘ.

— მუუ, მუუუ! — ზმუიან ფერმასთან მიახლოებული ძროხები.

ნიავმა უფრო მძლავრად დაუბერა. ნისლი აირია, ნაგვიანევი მგზავრივით აჩქარდა და მაღლა აიწია. ფერდობზე შიფერწაფარებული ფერმის შენობა გამოჩნდა. ფანჯრებში ელექტროშუქი გამოკრთა. ფერმის წინ შემაღლებულ ადგილზე იმედას დედა და სამივე და გადმომდგარიყვნენ.

ნახირი ბღავილით შევიდა ფერმის ეზოში.

— ძალიან დასველდი? ხომ არ შეგცივდა? — ზრუნვით ჰკითხა დედამ.

— სად არის სიცივე, არც გამიგია! —თქვა იმედამ. დებს უთხრა, ძაღლს საჭმელი დაუდგითო და ბინაში შევიდა. ოთახში სასიამოვნოდ თბილოდა, თუნუქის ღუმელი გუგუნებდა, ზედ ქვაბი იდგა. ირგვლივ ქონდრის, პიტნისა და კამის სურნელი ტრიალებდა. მაგიდაზე წიწაკისა და კომბოსტოს მწნილით სავსე ჯამის გვერდით შოთი პური იდო.

იმედამ ხელები დაიბანა. მაგიდას მიუჯდა. დედამ ოხშივარავარდნილი სავსე მათლაფა წინ დაუდო და ფერმაში ძროხებთან წავიდა. იქ უკვე დებსა და სხვა მწველავ ქალებს წველა გაეჩაღებინათ.

გარეთ მანქანის ხმა გაისმა. კარი გაიღო და ოთახში მამა შემოვიდა.

— ოჯახის კაცო, ძროხა როგორ დამახვედრე? — მაშინვე ის იკითხა.

— ბეწვიც არ დაკარგვიათ, — მხიარულად მიუგო მამას მისი დანახვით გახარებულმა ბიჭმა და მაგიდასთან სკამი დაუდგა.

კმაყოფილმა მამამ გაიღიმა, შოთ პურს გადასწვდა და იმედას გაუწოდა. ოჯახის კაცებმა ერთად გატეხეს პური.

გურამ
ვარაზანაშვილი

მხატვარი
შადიმან ჭავჭავაძე

მოთხრობა

1. შეხვედრა ტყეში

ზაფხული იწურებოდა. ერთი კვირაც და, მცხუნვარე აგვისტო ესტაფეტას შემოდგომის პირველ თვეს — სექტემბერს გადაულოცავდა.

ფერიცვალობა დაწყებული იყო, — ხილი სიმწიფეში შედიოდა, თუმცა ფერდობებს შეფენილ ტყეს ჯერ არაფერი ეგრძნო, ძველებურად მწვანედ ღაღანებდა.

ნიკა მარტო მისდევდა ვიწრო ბილიკს მთის კალთაზე. ამხანაგებს დაუბარა, გუშინ რომ დავთქვით, იმ კლდეს დავზვერავ მეორე მხრიდანო. ნასადილევს ზურგჩანთა მოიგდო მხრებზე და ნელი ნაბიჯით გაუყვა შეგულებული ადგილისაკენ.

მიდიოდა და თან ყურადღებით ათვალიერებდა მიდამოს. დროდადრო უსტვენდა კიდეც, ხან კი მგალობელ ფრინველებს ბაძავდა, ასე ბლომად რომ დაძვრებოდნენ ბუჩქნარში, ტოტიდან ტოტზე ხტებოდნენ და წამოზრდილ ბარტყებს სტვენა-გალობას ასწავლიდნენ.

ალაგ-ალაგ შეწითლებულ ნაყოფიანი შინდის ბუჩქები იტაცებდა თვალს, მაგრამ ახლა მათთვის არ ეცალა, — მთელი გულისყური ხეობიდან წამომართულ და ყოველი მხრიდან კალთებჩაწყვეტილ ვეება კლდის მასივისათვის მიეპყრო.

შენიშნა ნიკამ, აქეთა მხრიდან დამრეცი კალთა შეუყვებოდა საკმაო სიმაღლეზე და, თუ მოინდომებდნენ, შეძლებდნენ კიდეც ასვლას. ამ ზაფხულს ისე გაიწაფნენ კლდეზე ცოცვაში, გამოცდილ მთამსვლელებსაც არ დაუდებდნენ ტოლს. რომელიმე ციხის ნანგრევის ახლოდან ნახვის სურვილით შეპყრობილნი, ხანდახან ისეთ მწვერვალს მოექცეოდნენ თავზე, შორიდან მიუდგომელი რომ ეჩვენებოდა კაცს.

ნიკა და მისი მეგობრები, რომელთა კარვებიც გადაღმა ფერდობზე დარჩა, მთელი ზაფხული პრაქტიკაზე იყვნენ, — ისტორიულ ძეგლებს იკვლევდნენ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ისეთი ციხე-კოშკი და ტყეში მიკარგული ეკლესია გამოავლინეს, რომელთა შესახებ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ბევრმა არაფერი იცოდა. დიდხანს არ ჩერდებოდნენ ერთ ადგილას: მოათავებდნენ საქმეს თუ არა, აიყრებოდნენ და ახალ ადგილზე გადაბარგდებოდნენ.

ერთი ხანობა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები დაემგზავრნენ, მაგრამ მათი გზები მალევე გაიყარა, — მომავალი ლიტერატორები ძველ სახელწოდებათა შეგროვებით იყვნენ გართულნი, ამის გამო მუშაობა ხალხთან ახლოს, სოფლებში უხდებოდათ, რათა მათი მეხსიერებიდან ამოეკრიფათ ჯერ კიდევ შემორჩენილი ხალხური გამოთქმები, ლექსები თუ გადმოცემები...

მიძვრებოდა ბუჩქნარებში ნიკა და მალიმალ კლდის თხემისაკენ იყურებოდა, — მოხერხებულ ასასვლელს ეძებდა. რაღაც გამოუცნობი ძალა ეწეოდა თავზე მოქცეოდა ამ გარიყულ კლდეს, იქიდან გადმოეხედა მიდამოსათვის. ამგვარი სურვილი სულ რამდენიმე დღეა გაუჩნდა, მას შემდეგ, როდესაც მზის ჩასვლისას შეხედა პირველად და შუქ-ჩრდილის თავისებურ თამაშში მიწიდან ამომართულ ვეება თავს მიამსგავსა, შეუცნობელი აზრებითა და ფიქრებით აღსავსეს.

ციხის არავითარი ნანგრევი არ მოჩანდა დაბლიდან, თუმცა გამოცდილი თვალი იოლად შენიშნავდა მის მოხერხებულ მდებარეობას მიუდგომელი სიმაგრის ასაგებად. ეს მით უფრო უცნაური იყო, რომ ქვემოთ, ხეობაში, არცთუ მაინცდამაინც მოხერხებულ ადგილზე, პატარა სათვალთვალო კოშკი იყო წამოჭიმული.

რამდენიმე დაგვალული ბუჩქი შეხიზნოდა ჩამოლესილ კლდეებს. ალბათ სიცოცხლისათვის ძალზე ცოტა შესაძლებლობა არსებობდა ამ მწირ, ქვიან ნიადაგზე.

კლდის მეორე მხარეს, ხეობიდან საკმაოდ მაღლა, გამოქვაბულები გამოეთხარათ ძველისძველად, ეტყობოდა, თავშესაფრად ჰქონდათ გამოყენებული ჩვენს წი-

ნაპრეს შიშინობის დროს. სხვა ღირსშესანიშნავი არაფერი ჩანდა. თავად კლდის სახელი კი "მართლაც უცნაურად, დამაფიქრებლად ჟღერდა. რამდენიმე დღის წინ ვაანდოთ ერთმა ბერიკაცმა, ტყეში საკალთაე წნელისათვის წამოსულმა. „არ ახვიდე" პქვიაო, თქვა და იმ ეკვრად მიაპყრო თვალები ნაბადმოხსნილი ბოლოთოვით წამომართულ საოცრებას, თითქოს შეეშინდაო ძველისმეკვალი შეკრარისა თუ წყვლისა, სახელწოდების გამეღაღვნებას რომ სდევდეთ თან. თუ რატომ შეერქვა ამ ეკვარი სახელწოდება, არ იცოდა: – ახე გამიგონია მამა-პაპისაგანო.

– საერთოდ დაწყვლილი ადგილია, შვილებო, და ყველანი გაურბიან მის ახლოს ყოფნას, ბრც მე და ბრც წეშ სოფლელებს არანაფდეს. ეკვიფერია მაალა ახლა. გამიგონია, ვინც დაპპარა მაგ კლდეზე ახლა, ხიფოახა და ფაოერაკს გადაეკარო. ახეთ რამეებს ამბობენ და მართალია თუ ტყუილი, იმან ეკარკეთოს, ვინაც მოთმინება არ ეყოფა და ზედ ახლას მოინდომებს.

ზოხეცის ნაოქვამმა უფრო გაალიზანა ახალგაზრდების ცნობისწადილი. თორმე ყველა ერიდებოდა იმ კლდეზე ახლას მარტოოდენ იმის გულისთვის, ძველი გადმოცემა არ დაკარგეიიო. რას წარმოადგენდა ეს გადმოცემა, არავინ იცოდა. ოდესღაც იქნებ მართლაც მოხდა ,ისეთი ტრაგედია, რომლის შიშითაც ხალხმა აკრძალა მასთან მიახლოება! ამგვარი ადგილები ხშირად გვხვდება ხოლმე, განსაკუთრებით კი მთაში, მაგალითად, ხალოცვის გარშემო დაცული ტყე, სადაც ხატისგან დამიზეზების შიშით, უბრალო მიმელის მოჭრაც კი მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა.

მიიწევდა წინ ნიკა, ათასგვარი ფიქრით ჰქონდა გამოტენილი თავი და გულში პატივმოყვარეულ იმედს ელოლიავებოდა! რა იქნებოდა, წინაპრთა მიერ დაფარული საიდუმლოს შესახსენელი კარი ეპოვა, პირველს მას შეედგა ფეხი ძვირფასი საუნჯით გამოტენილ დარბაზში? მაშინ ხომ მისი სახელი ყველას პირზე ეკერებოდა. განა შემთხვევის წყალობით არ მიაგნო ახალგაზრდა ფარნავაზმა დიდძალ საუნჯესეს მეხეთის მახლობლად, მერე რომ ქვეყნის გასათავისუფლებლად გამოიყენა? შიშინობის დროს ხომ ბევრჯერ ნაუმარხავთ ძვირფასი ნივთები, რათა მოთარეშე მტრის ხელისაგან გადაერჩინათ და მომავალი თაობებისთვის შემოენახათ ერის საგანძრი! ისინი უთანასწორო ბრძოლაში იღუპებოდნენ, ხოლო მათი საიდუმლო უტყვ გამოქვაბულებში, ხერეულებში თუ ციხის ძირას გათხრილ ორმოებში რჩებოდა.

ამგვარი შემთხვევა ბევრი გაიხსენა და გული სიამით ავსო, – ვეება ვაგვეის ნებით ეგე მიწერია, პირველმა აღმოვაჩინო კიდევე ერთი დაკარგული საუნჯის ადგილსამყოფელი, დრო-ეამისაგან დაცული და დავიწყების ფერფლნაყრილიო.

მოულოდნელად ხულ ახლოდან სიმღერა შემოესმა. ისეთი გამაოცებელი აღმონნდა ამ მაყრეებელ გარემოში წკრიალა ხმის გაგონება, რომ თავდაპირველად გაიფიქრა კიდეე, – ხომ არ მეჩვენებიო.

წკრიალა ხმა კი არ ცხრებოდა, მოელ მიდამოს სასიამოვნო მელოდია ეფინებოდა.

ოცნებავ, ფრთები გაშალე, –
მოფრინდი, მალე მოფრინდი, –
მოეული დიდი ხანია,
გაშალე ფრთა, გადმოფრინდი.

მღეროდა გოგონა.

ნიკას გული მოუნდა, ენახა იგი და მაშინვე გადაუხვია ბილიკიდან.

ვერცხლივით სუფთა, საამო წკრიალი კი ნაკადულივით იღვრებოდა და ძირს, ხევში მოხხრიალე მდინარის ხმას ეერთდებოდა.

ახლა უკვე ძლივს მიიკვლევდა ნიკა გზას, – ყოველ ნაბიჯზე ხშირი ბუჩქნარები უნდა გაერღვია. ერთგან მიწა ნაწყვეტილი დახვდა, – პატარა ფლატე წარმოექმნა. ამაზეც ვერ შეაწერა, ისკუსა და სწორედ იმ შინდის ხეთთან მოადინა ზღარანი, რომელის ტოტაზეფდა ქალიშვილი მწიფე ნაყოფს კრეფდა, კაბის კალთაში იყრიდა და ისე იყო ვართული სიმღერით, არაფერი შეეშინა.

ნევია, ვიღრე ჭაბუკის ფეხისგან აყრილი ქვები რახარუხით არ ჩამოიშხლეა. უცხო ვაჟის დანახვაზე შეკვეცა, კაბის კალთას ხელი შეუშვა და მოკრეფილი შინდი მიწაზე ჩამოაბნია.

ორივე შეიტუნა ამ შეხვედრამ. გოგონა გონს მალე მოეკო, განზე გადგა და შუბლი საავდრო ლრუბელივით ისე გამოეკეხა, ამკარად შეეტყო, არ ესიამოვნა დაუპატიჟებელი სტუმრის გამოჩენა.

ნიკამ ჯერ მიწაზე მობნეულ შინდს დახედა, მერე ქალიშვილს შეავლო თვალი. მიხვდა, მისმა უდროო გამოჩენამ გაანაწყენა ტყის ფერია (გულში სწორედ ამ-

ეკვარად მონათლა ქალიშვილი) და მოკრძალებით მიმართა:

– ბოდიშს გიხდით ნება სიტლანქის გამო... უნებლიეთ გადაეკვარეთ, – მერე ცარიელ კალათს შეავლო თვალი და ღიმილმორეულმა განაგრძო: – არ მეკონა, თუ ტყეში შეეხვდებოდი ასეთ მშვენიერ... – და უცებ შეწყვიტა – შენიშნა, არ ესიამოვნა ქალიშვილს ქათინაური, – კიდევე ერთხელ გიხდით ბოდიშს და გთხოვთ მაპატიოთ. ღმერთმანი, წინასწარ რომ მეცოდნოდა... ერთი სიტყვით, ისე მოვიდოდა გამეგო, ვინ მლერიდა, რომ...

კიდევე აპირებდა ამეკვარი რამეების თქმას, მაგრამ ქალიშვილმა ოგრძნო, რა დღეშიც იყო ვაჟი, ამიტომ მშრალად მიუგო:

– არა ღირს ამდენ ბოდიშად... შინდის მეტი რა დგას ამ ტყეში!.. ხელის შეკვეცაა მარტო საჭირო... – ოდნავ გაიღიმა, ხუსნი ჩამოიშორა სახიდან და ამით ცოტაი ნაათამამა შემკრთალი ჭაბუკი, რომელსაც კვლავ დაუბრუნდა ჩვეული სილაღე.

– მართლაც, ამდენი შინდის ბუჩქი ერთად თავმოყ-

რილი ჯერ არ შემხვედრია, – მცირე ხნის შემდეგ კი დაუმატა: – ამ სიმორეზე რამ წამოგიყვანანო?

ქალიშვილმა გული გაიმაგრა და კვლავ ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს გადახედა.

– სამურაბედ მინდა, ამიტომ შერჩევითა ვკრეფ. გახსნილი შინდიც საამურია გაზაფხულზე, როცა ხილეული შემოელევა კაცს. ჩვენი სოფლის გოგონები ერთად წამოვედით, მერე კი დავშორდით, მე აქ ადრევე მქონდა შეთვალიერებული...

უეცრად ხელისგულები ტუნებთან მიიტანა და ხეთ-ბას გასძახა:

– ეუუუ!

მიაყურადეს. მცირე ხნის შემდეგ სხვადასხვა მხარეთ შემოესმთ ექოსავით გამოძახილი:

– ეუუუ! ეუუუ! ეუუ! აქა ვარო, აქაა!..

– დარწმუნდით, რამდენი ვარო? – შეეკითხა ქალიშვილი, – ახე რომ, მარტო არ გამოვალ ტყეში.

ნიკამ გაიღიმა მხოლოდ, არაფერი უთქვამს.

რაკი დაარწმუნა, ახლოშორეულ – ნემსაბანეთ ქალიშვილი ხელახლა შინდს მიუბრუნდა. ნიკასაც მოუნდა მიხმარებოდა და ნებართვა სთხოვა, რაზედაც ქალიშვილმა მიუგო: – აქ ტყეა და ხილის მოკრეფას ვინ დაგიშლიითო.

მცირე ხანს უბრაც იყვნენ. მერე კი ნინიკომ – ახე გავეცნო ვაეს – ცნობისმოყვარეობა ვერ დაფარა და შეეკითხა:

– ნება აქ ყოფნა, როგორც დარწმუნდით, დასაბუოებულია... აი, თქვენ კი საიდან მოხვედით? ჩვენი სოფლის ყველა სტუმარს ვცნობ, თქვენ კი პირველად გხედავთ.

– თბილისიდან ვარ, – თანაკურსელებთან ერთად თქვენს მხარეში მოვლინებული, ძველი ცხეკვებისა და სხვადასხვა ისტორიული ძეგლების შესასწავლელად.

– აა, ეს თქვენ ხარო, იქითა მხარეს ნაგებული კარვების ბინადარნი, მოელი დღეები მოებზე რომ დფოტიალობთ წარწერებიანი ქვების ძებნაში?

ნიკამ თავი დაუქნია.

– რატომ დაშორდით ამხანაგებს?

– სიმღერა შემოესმა: „ფრთა გაშალე, გადმოფრინდიო", და...

ნინიკოს შინდისფერმა აკრა შეშმაკიდებულ ლოყებზე.

– მერედა, ხომ არ მიიჭვამს, პირდაპირ ჩემთან გადმოხტები და შემაშინეთ-მეთქი!

– არ გეტყობათ, ხუსტი გულისა იყოთ, – მიუგო ჭაბუკმა, – მშიშრები მარტონი როდი დადიან უკაცრიელ ტყეში..

– აქ ბევრჯერ ვყოფილვარ... ჯერ კიდევ პატარა მამას დაკვეკვებიდი ხოლმე... ახე რომ, ჩემთვის სულაც არ არის უკაცრიელი...

ნიკა ისე ვიერთო საუბრით, გადაავიწყდა, რისთვისაც იყო წამოსული. ერთი ბუჩქიდან მეორეზე გადადიოდნენ, უხერხულობა გაკრა და თავისუფლად ყვებოდნენ ათას ეკვონესსა თუ გამოგონილს.

ნინიკომ როცა შეიტყო სტუდენტების განზრახვა – კლდე დაკლაშვრათ, თავი წწყრალად გადაიქნია.

– არ გიჩრეთო, ოუმეს...

– რა თუმეს? – ჩაეკითხა ნიკა, ეკახხენდა ბერიკაცის ნაოქვამი და გადაწყვიტა გამოეკითხა ყველაფერი, – ახე ეკშინათ აქეარებს?

– არ ვიცი... – შეეყოყმანდა ქალიშვილი, – ყველას თავისი ბოვეა აქეს. სოფელში კი მარილაც ეკვეთ ეეურებენ. ბეშიაწეი ვეიამშოდა ხოლმე, – მაგ კლდეზე კეფიანები იკრიბებიან, სათამაშო მოედანი აქვთ გამართულიო, სხვადასხვა მხრიდან მოდიან, მოელი ღამე გიეკეთეთ ხტიან, ხარხარებენ და მალაყეებს გადადიანო.

— მერე, მერე? — დაინტერესდა ნიკა, — თქვენც გჯერათ ყოველივე?

— მე?.. აბა რა ვიცი!.. ისინი ხომ ღამღამობით იკრიბებიან... საიდან ვნახავდი. არავინ იცის, როდის მოეპრიანებათ ხოლმე ერთად თავშეყრა... ამბობენ, ერთი თავზე ხელაღებული ახალგაზრდა ყოფილა, დაუქადნია: ავალ იმ კლდეზე და ღამესაც გავათევო. სწორედ მაშინ ავსულებს მთელი ღამე ფერხული ჰქონიათ გაჩაღებული... ის საწყალი ვაჟიც უთამაშებიათ ქანცის გაწყვეტამდე. დილით ჰკრეს ხელი თურმე და ხეობაში გადაჩეხეს. მეორე დღეს მიაგნეს იმის გვამს... ყველა ერიდება. ალბათ ამიტომაც შეარქვეს ამგვარი სახელი.

ნიკამ გაიცინა.

— ეგ ხომ უწინ ყოფილა, ახლა კი ტექნიკის საუკუნეა... ყველა კუდიანმა დიდი ხანია დატოვა ძველთაძველი ადგილსამყოფელი, ჩვეულება, რწმენა, შიში და მოკრძალება კი დარჩა.

— მაინც არ გირჩევთ იქ ასვლას, — არ დაუთმო ქალიშვილმა. — ბევრ ჩემს სოფლელს საკუთარი თვალით დაუნახავს ცეცხლის ენებივით მანათობელი არსებანი. იმ კლდესთან დაღუპულთა სულები ხვდებიან ერთმანეთსო, — ბებიაჩემმა მიამბო, პატარა რომ ვიყავი.

— ბებიათქვენი ძველი ყაიდის ქალი ყოფილა... არც გაემტყუნება. — ნიკა დაფიქრდა, — მაშ ღამღამობით თამაშობენ ხოლმე?

— ასე ამბობენ...

— ძალიან კარგი, — თქვა ნიკამ და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა: — გასაგები.

— რა არის გასაგები?

— ჩვენც ღამით მოვერიდებით, დღისით ავალთ და ჩამოვბრუნდებით. ისე, ძალიან კი ჰყვარებიათ ბუქნათამაში, თუმცა, კუდიანებს რას გაუგებს კაცი. როგორც

წიგნში წამიკითხავს, ისინი მამლის მესამე დაყივლებისთანავე ტოვებენ ასპარეზს. ასე არ არის?

— აბა მე რა ვიცი, — გაიღიმა ნინიკომ, — იქნებ მართალია, იქნებ არა. მე ის გითხარით, რაც აქაურებს სჯერათ.

ნიკამ ცოტა ხანს იყუჩა.

— მაშ, ყველა მარტო ამიტომ ერიდება?

— შეიძლება... მაგრამ, იქნებ სხვა მიზეზიც ჰქონდეთ, საერთოდ, მასზე ლაპარაკს ერიდებიან.

— მაშ გადაწყვეტილია, — უთხრა ჭაბუკმა, — სწორედ მაგ მიზეზის დასადგენადაც ღირს იქ ასვლა. ისტორიამ მსგავსი გადმოცემები ბევრი შემოგვინახა. აქამდე თუ ჯერ ისევ ვყოყმანობდი, ახლა ამხანაგებს შევაგულიანებ და უსათუოდ ავალთ. ხომ არ დაგვემგზავრებოდით?

— მე? — უკან დაიხია ქალიშვილმა. — აბა, რას ამბობთ... სოფელში რომ გამიგონ... თანაც ასეთ კლდეზე... იქ მარტო მთამსვლელები თუ ავლენ.

ამასობაში მზე დასალიერისკენ გადაიხარა.

ახალგაზრდები სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ. ანაზდად ბუჩქებიდან შრიალი და ტოტების მტვრევის ხმა შემოესმათ.

შეჩერდნენ და ყური მიუგდეს.

ბუჩქები კვლავ შეირხა და ბილიკზე ძროხის თავი გამოჩნდა. პირში გაჩრილი ბლუჯა ბალახის ღეჭვა შეაჩერა და გაკვირვებული მიაჩერდა მათ.

— ხატულა! — წამოიძახა ნინიკომ, გაიქცა და კისერზე მოეხვია, — აქ როგორ მოხვდი, შე მაწანწალავ? ჩემსავით თავი მიანებე დანარჩენებს?

— იგრძნო, ალბათ, ტყეში რომ იყავით და თქვენს კვალს აედევნა, — ღიმილით ჩაურთო ნიკამ. — საქონელმაც იცის მიჩვევა... რა ლამაზია. იწველის?

— ამისი რძე მთელს უბანშია განთქმული. შეჩვეული მყავს, მაგრამ ხანდახან შინ მოსვლა ავიწყდება, განსა-

კუთრებით კარგ დარში. საოცარია, აქ როგორ მოხვდა, ამ სიშორეზე რამ წამოიყვანა? ჩვეულებრივ, მდინარის პირას ბალახობს ხოლმე...

— ვინ იცის, გულში რა ჰქონდა მაგასაც, — გაიცინა ნიკამ, ახლოს მივიდა და თავზე ხელი მოფერებით გადაუსვა. — არ წავიყვანოთ თან?

— მაშ ვის დავუტოვოთ? მზე ჩასვლაზეა უკვე... წამოდი, ხატულა, და ამგვარი სისულელე აღარ ჩაიდინო. ვის უნდა მოეძებნე ამსიშორეზე წამოსული?

— ეტყობა, მგლების სულაც არ ეშინია.

— სადღაა მგლები, სულ გაწყვიტეს მონადირეებმა, პატარა ლეკვშიც კაი ფასს იძლევიან.... ამიტომაა ასე თამამად.

ძროხა წინ გაიგდეს და ისიც მორჩილად დაჰყვა მათ ნებას — სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ხანდახან ლორთქო ბალახს წაატანდა პირს, ანდა გადმოხრილ ტოტებს შეაცლიდა ფოთლებს.

— იცით, ნინიკო, მინახავს, მთებში მობალახე საქონელს ეჟვნებს ჰკიდებენ ხოლმე კისერზე, — უთხრა ნიკამ. — მიდიხარ ბილიკზე და აქეთ-იქიდან გესმის საამო წკარუნი, თითქოსდა უხილავი ზანზალაკები მიგაცილებენ ტყის გარინდებულ სამყაროში. სანამ გაარკვევდე, ათასგვარი გრძნობა გეუფლება, მერე კი, როცა დაინახავ, მთელი იმ ნაზი სიმფონიის გამომწვევი მიზეზნი ჩვეულებრივი ძროხები არიან, უნებურად გაგეცინება და ოცნებებს ჩამოფერთხავ.

— რატომ ჰკიდიათ ეჟვნები?

— რომ არ დაიკარგნონ. მთაში საძოვრები ცოტაა, საქონელი ტყეში ბალახობს, ამიტომ არ მოჩანს. პატრონს ეჟვნებით ატყობინებენ თავიანთ ადგილსამყოფელს. მაგ თქვენს ხატულასაც, ბილიკზე რომ დროულად არ გამოსულიყო, ისე ჩავუვლიდით გვერდს, ვერც შევნიშნავდით...

2. კამათი კოცონის ირგვლივ

მომავალი ისტორიკოსები სოფლისგან ცოტა მოშორებით, ტოტებგადაშლილ ხეებქვეშ დადგმულ ტურისტულ კარვებში ცხოვრობდნენ. მახლობელი ხევიდან ნაკადულის ჩუხჩუხი მოისმოდა. სოფელშიც შეეძლოთ დაექირავებინათ ბინა, მაგრამ ახალგაზრდები იყვნენ და ასე ისურვეს. ამგვარი ცხოვრებით ადამიანი თითქოს უფრო ახლოს მიდის ბუნებასთან; ბევრ, აქამდე დაფარულ საიდუმლოს ეცნობა, სიძნელეებსაც ეჩვევა. აქ, ფლორას სამეფოში, უფრო მეტი გულახდილობა სუფევს ხოლმე და განსხვავებაც მეტ-ნაკლებად წაშლილია.

უკვე ერთი თვე იყო, რაც ამ მხარეში საქმიანობდნენ. განრიგი ჰქონდათ შედგენილი, ვის რა ევალებოდა მთელი დღის განმავლობაში და მკაცრად იცავდნენ მას.

იმ საღამოს ვეება კოცონი გაეჩაღებინათ, ცხელ ღეელფში ჩაწყობილ კარტოფილს ხუხავდნენ და შემორჩენილ დღისთვის გეგმებს აწყობდნენ.

ცხადია, მათ ხელმძღვანელიც ჰყავდათ. ირაკლი ერქვა. ტანადი ჭაბუკი იყო. ზოგიერთივით როდი ყოყოჩობდა. პირიქით, ყველაზე საძნელო საქმეს თავისთვის დაიტოვებდა ხოლმე, დაბრკოლებასაც პირველი შეებმებოდა.

სწორედ ირაკლი ლაპარაკობდა ახლა. სხვებს კი ცეცხლის მორიალე ალისთვის მიეშტერებინათ თვალი და ყურადღებით უსმენდნენ.

— მაშ ასე, — ამბობდა ირაკლი, — დილიდანვე შევუდგებით იმ მაღალი კლდის ქვეშ გამოთხრილი გამოქვაბულების უფრო დაკვირვებით შესწავლას. ეტყობა, მჭიდრო კავშირში უნდა იყვნენ ხეობის გაყოლებით არსებულ მათ მსგავს სადგომებთან და მათთან ერთად მთლიან სისტემას უნდა ჰქმნიდნენ, რასაც განსაკუთრებული დანიშნულება ექნებოდა ძველ დროს. შესაძლოა, პირველყოფილი ადამიანების თავშესაფარიც კი იყო. უფრო გვიან, ადრე ქრისტიანულ ეპოქაში კი, — განდეგილი ბერების სავანე. თუმცა, მახლობლად რაიმე ცნობილი მონასტერი არ არის, მაგრამ ეს კიდევ არაფერს ნიშნავს... შუა საუკუნეებში ხალხი იქნებ სახიზრადაც იყენებდა, შემოსეულ მტერთაგან განრიდებული. განსაკუთრებით ერთ-ერთი ყველაზე ღრმა გამოქვაბულის შესწავლაა აუცილებელი და აი რატომ: იგი ისე განსხვავდება დანარჩენებისაგან, ძალაუნებურად ეჭვს ბადებს, — მარტოოდენ თავშესაფრად ჰქონდათ გათვალისწინებული თუ სხვა მიზნისთვისაც ესაჭიროებოდათ? როგორც ცნობილია, მასში დღის სინათლე ვერ აღწევს შუადღის ჟამსაც კი, როცა განათება ორმაგად მატულობს. მთელი ეს სისტემა, როგორც აღვნიშნე, იმ უცნაურსახელიანი კლდის ქვეშ მდებარეობს წანწკარას ხეობის მხრიდან. მართალია, მისი ახირებული სახელწოდება გვაფრთხილებს, არ ახვიდეო, მაგრამ გამოქვაბულების მონახულების აკრძალვას, ვგონებ, არ ითვალისწინებს.



კოცონის გარშემო მსხდომებმა გაიცინეს.

— რამდენიმე დღეც და ავიბარგებით აქედან, — განაგრძობდა ირაკლი, — სამუშაო კი ჯერჯერობით ბლომად გვაქვს. აღარა ღირს მისი გულისთვის ახალი ექსპედიციის მოწყობა. გადაღმა მთაზე არსებული ციხე შესასწავლია, საგუშაგო კოშკიც ჩასახატავი და ასაზომი. ლევანმა კი იმ პატარა ხეობაში, არავინ რომ არ ველოდით, ნაეკლესიარი აღმოაჩინა. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ უწინდელ დროში მთელი ეს მხარე უფრო მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ყველაფერი უნდა მოვასწროთ... თუმცა ვაჟა წინააღმდეგია, მაგრამ იმ ბნელი გამოქვაბულის ხელახლა შესწავლა მაინც მოვვიწევს. დროებით სახიზრად იმსიგრძე მღვიმის გამოჭრას აზრი არ ექნებოდა, ეტყობა, რაღაც განსაკუთრებული დანიშნულება დააკისრეს მას ჩვენმა წინაპრებმა... გახსოვთ, ალბათ, ამას წინათაც ასე ავიტეხე და სწორედ ამის წყალობით აღმოვაჩინეთ მიწაში ჩაფლული ძვირფასწარწერიანი ქვა, კედლიდან რომ ჩამოვარდნილიყო...

— წინააღმდეგი არც მე ვარ, ირაკლი, — თქვა ვაჟამ, — ოღონდ მხოლოდ დროის დაკარგვად მიმაჩნია ეს ამბავი. თვითონაც ხომ ახსენე, — კიდევ ბევრი რამაა გამოსაკვლევი და როგორმე უნდა მოვასწროთო. გუშინ მე და ნიკამ ძირისძირობამდე გამოვიკვლიეთ ის ქვაბულები, საინტერესოს კი ვერაფერს წავაწყდით. შიშველი, ალაგ-ალაგ ცეცხლისაგან შეჭვარტლული კედლებია და მეტი არაფერი, მწყემსი ბიჭებისაგან გადაქოთებული და გამოფხეკილი. თუ წასაღები იყო რაიმე, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ჩამოსვლისათვის არ შემოინახავდნენ.

კამათში ვახტანგი ჩაერია.

— ვაჟა მართალია, მაგრამ, მაინც...

— არაფერი „მაგრამ“! — მტკიცედ განაცხადა ვაჟამ, — უყურადღებობასა და საქმეში ნაჩქარეობას ვერავინ დამწამებს. ამგვარი უნდობლობა კი შეურაცხყოფად მეჩვენება.

ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გრძნობდა ვაჟას სიმართლეს, მაგრამ ირაკლისაც ჰქონდა საიმისო მიზეზი, ხელახლა მოეთხოვა იმ ადგილების გამოკვლევა.

სწორედ ამ აზრმა წამოაგდო ფეხზე გივი.

— ირაკლი არა ტყუის! მაშინ იმ ქვასაც ასევე უყურადღებოდ ჩავუვლიდით გვერდს. მერე ვინ იცის, რამდენი ათეული წელი კვლავ დაელოდებოდა ვინმე მადლიანის მიერ სამზეოზე გამოტანას. თქვენ, — მიმართა ვაჟას, — ნახევარი გამოქვაბული ასანთის შუქზე გაგივლიათ, შეიძლება ბევრი რამ გამოგრჩათ. თუ ხელახლა მოვინახულებთ, აქ ვერავითარ შეურაცხყოფას ვერ ვხედავ: რაც ერთის თვალს გამოეპარება, ის, შესაძლოა, მეორემ შენიშნოს.

— მართალია, ელექტროფარნის ნათურა გადაგვეწვა, მაგრამ ასანთის შუქზედაც ყველაფერი დაბეჯითებით გამოვიკვლიეთ, — არ სურდა დაეთმო ვაჟას.

ამასობაში ირაკლი თვალით დაეძებდა ვიღაცას, და რომ ვერ აღმოაჩინა, იკითხა:

— ნიკა სად არის?

— ნიკა? — ახლაღა გაახსენდა ვახტანგს, — ნიკა ხომ იქ წავიდა... — მერე ფეხზე წამოდგა და მთელი ძალით გასძახა ჩამოწოლილ სიბნელეს: — ნიკა! ნიკა! სადა ხარ, ნიკა?!

— მოვდივარ, მოვდივარ! — მოისმა ახლოდან.

ცოტა ხნის შემდეგ თავადაც გამოჩნდა კოჭლობით მომავალი.

— სად დაეხეტები ამდენ ხანს? — შეუტია გაიოზმა, —



ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

შიო მღვიმელის გახსენება

ბავშვობის ერთ წიგნს ვიგონებ
დღემდე,
გულს მითბობს მე იმ დღეთა
ღიმილი –
ნახატში ჭრელი პეპლები ფრენდნენ,
ყდაზე ეწერა:
შიო მღვიმელი.
მერე გავიგე –
როცა კი მთიდან
ჩამოდიოდა თბილისში ვაჟა,
მის ხურჯინს შიო პირველი ხსნიდა
და უცხო ცეცხლი უწვავდა მაჯას.

ვაჟაის ლექსის პირველ ჭაშნაგირს
მე პირველ ლექსებს დავსესხებივარ,
იგი რომ არა, როგორ ვნახავდი
კორდს იებიანს, ცას მერცხლებიანს.
და იმის მერე გულშუქიანი
ჰხატია ჩემი ბავშვობის ყდაზე
ის, ვინც მასწავლა ლექსის ტრფიალი
და გამიყვანა სიმღერით გზაზე.

ნეტავი დღესაც დამდებდეს ამაგს
და ერთს მშვენიერს მეტყოდეს
ზღაპარს
ჩემი ბავშვობის კეთილი მამა
და შვილთა ჩემთა უკვდავი პაპა.

ლეონიდ ხარებათი

ბავშვს

უბრძოლიათ ხმლით დ შუბით
შენს წინაპრებს – ქვეყნის შვილებს,
მათ ვერავინ ვერ ნახავდა
ბეჭიდან სისხლდადენილებს.

მტერს არასდროს გაურბოდნენ,
ხმალს ცრემლით არ ასველებდნენ,
მუხლი ჰქონდათ ჩაუხრელი,
არც მარჯვენას ასვენებდნენ.

ხარ იმათი ანასხლეტი,
მათი ცხელი სისხლის წვეთი,
მაშ არასდროს არ დახარო
ეგ საუღლე შენი ქედი.

ხმალ-შუბის დრო გარდასულა,
შენ სულ სხვა დრო გერგო წილად,
თავისუფალ ძმურ ოჯახში
ჩვენი ხალხის მზეცა ბრწყინავს.

იამაყე ამ დიდ დროთი,
ირმისყელავ, ლომისთვალავ,
დააფასე შრომა მისი,
ვინც შენ ეს დრო მოგიტანა.

შენი გულის სითბოს ითხოვს
ძველი ციხეც, ახალშენიც,
შენი სწავლით, შენი შრომით
გაახარე ხალხი შენი!

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა

შენ, ძამია, რავა ფარას ჩამორჩენილ თხასავით დახტიხარ ამ შუაღამისას! გამოგიჭერს სადმე ამ ტყის მცველი, რუხი ბიძიკო მგელი და იკიკინე მერე. აქ იმისთანა საქმეებს ვარჩევთ ახლა, შენი ყოფნა რომ არის საჭირო.

ნიკამ სული მოითქვა, კოცონის მახლობლად ჩაიმუხლა.

– ხომ გითხარით, საქმეს წინ წავიგდებ-მეთქი და იმ კლდეზე ასასვლელი გზა დავზვერე ლიკლიკას ხეობის მხრიდან. მთლად მიუვალი არა ჩანს... ეტყობა, ბილიკი ასდევდა ძველად. ქვაში გამოკვეთილი საფეხურებიც ჰქონია, მერე კი ყველაფერი ჩამონგრეულა და წაშლილა. ეს ფეხიც იქ ვიტკინე...

– იცი, ჩემო ნიკა, რა გადაწყვიტეს? – მიუბრუნდა ვაჟა, – დილით იმავე გამოქვაბულის მოსანახულებლად მივდივართ, ჩვენ რომ გამოვიკვლიეთ გუშინ. როგორ მოგწონს ეს ამბავი?

– აბა რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ნიკამ, – მართალია, მე და შენ გავსინჯეთ, მაგრამ იმ გრძელ გამოქვაბულში ასანთის შუქზე ბევრს ვერაფერს ვნახავდით, ეს მაშინაც გითხარი. თუ ასე სურთ, – გარშემო მოავლო თვალი, – რა მეთქმის, მაშასადამე, ასე ყოფილა საჭირო.

– გენაცვალე სიტყვა-პასუხში! – შესძახა ვახტანგმა. – წინადადება თითქმის ერთხმადაა მიღებული, – ვაჟას გადახედა, – ჰა, ძველო, ასწიე ხელი! შენი თანხმობაღა აკლია.

– თუკი ყველას ასე სურს, – ჩაიბურტყუნა ვაჟამ, – განა მე უარზე ვარ.

ირაკლიმ ისევ განაგრძო:

– ეს ჩემი ახირება როდია. სხვა არა იყოს რა, კატალოგშია შეტანილი და თბილისშივე მთხოვეს მათი გულდასმით გამოკვლევა. ეტყობა, მათაც აეჭვებთ რაღაც... ვინ იცის, ხელახლა როდისღა დაინტერესდებიან... ჩვენ კი აქა ვართ. იქნებ მართლაც რაიმე გადარჩა იმ ძნელბედობის ხანიდან...

სიცილ-ხარხარით რამდენიმე ხელმა გაქექა ღადარი და იქიდან შემწვარ-დაბრაწული კარტოფილები გამოაგორეს, კამათში გართულებს კინაღამ რომ გადაავიწყდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპეიროი

შესაშური ერთგულება

თქვენ სიამოვნებით კითხულობთ „ნორჩი ლენინელის“ ყოველ ნომერს, არც ერთ მასალას არ გამოტოვებთ, პირველი გვერდიდან რომ დაიწყებთ, ბოლომდე ჩახვალთ, ხოლო როცა მეოთხე გვერდის იმ ბოლო სვეტსაც ჩაამთავრებთ, იქ, სულ დაბლა, მუდამ გვხდებათ რედაქტორის ხელმოწერა — ი. ცერცვაძე.

სწორედ ბატონი ვანო ცერცვაძე გვინდა გაგაცნოთ, შესაშურად მოუსვენარი, მოუღლელი ხალისით აღსავსე, თავისი კეთილსინდისიერებითა და შრომისმოყვარეობით სხვისი სიზარმაცის, გულგრილობისა და დაუდევრობის შემარცხვენელი, საქმისათვის თავდადებული ადამიანი.

1924 წლიდან გამოდის „ნორჩი ლენინელი“ (მაშინ გაზეთს „ახალგაზრდა პიონერი“ ერქვა), 1953 წლიდან მოყოლებული, მას საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი ვანო ცერცვაძე რედაქტორობს უცვლელად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი ეს ხანი ამ ადამიანის ფიქრი, შრომა-გარჯა, ძალა და ენერგია იმას ხმარდება, რომ **თქვენი**, პატარების გაზეთი იყოს ისეთი, თქვენ რომ გჭირდებათ, თქვენ რომ მოგეწონებათ, **თქვენ** რომ დაგეხმარებათ. რედაქციაში მან კორესპონდენტადაც იმუშავა და განყოფილების გამგედაც, და სულ — „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში, სადაც პირველად ლამის სკოლის მერხიდან მოვიდა. ისე რომ, და ამაში თქვენც დამეთანხმებით უთუოდ, ბატონი ვანოს სიცოცხლის უმეტესი ნაწილი განუყრელად არის დაკავშირებული „ნორჩ ლენინელთან“.

თქვენ გგონიათ, სხვა ჟურნალ-გაზეთებში არ მიუწვევიათ, ან სხვა საინტერესო და ბევრად უფრო მშვიდი სხვა სამუშაო არ შეუთავაზებიათ, ანდა დაწინაურებით არ უცდიათ მისი და „ნორჩის“ დაშორება? მაგრამ ბატონი ვანო დღესაც უღალატოდ, მოუბეზრებლად და მოუღლელად ერთგულობს თქვენსა და თავის გაზეთს.

თუმცა კი ერთხელ მაინც მოუხდა მასთან განშორება...

დიდი სამამულო ომის დაწყების ამბავმა რედაქციის პიონერული განყოფილების გამგეს ვანო ცერცვაძეს და შტატგარეშე კორესპონდენტს ვანო აკოფოვს კოჯრის პიონერთა ბანაკში მოუსწრო, სარედაქციო დავალების შესრულებისას. ახალგაზრდებმა უყოყმანოდ მიიღეს გადაწყვეტილება — ფეხით ჩამოვიდნენ კოჯრიდან და პირდაპირ სამხედრო კომისარიატს მიაშურეს. უმცროს ვანოს მაშინვე უარი უთხრეს ასაკის გამო, ცერცვაძე კი მეათე დღეს გაიწვიეს ფრონტზე (მოგვიანებით აკოფოვიც წასულა ომში და აღარც დაბრუნებულა). სხვა საფიქრალ-საზრუნავთან ერთად ჯარისკაცმა საყვარელ გაზეთზე ფიქრიც გაიყოლა თან. მოგვიანებით კი ისიც გაიგო, რომ რაც ხანი იგი იბრძოდა, „ნორჩი ლენინელი“, ისე, როგორც ქვეყნის ბევრი სხვა გაზეთი, დროებით დაიხურა. 1946 წლის ივნისში გამოვიდა მისი პირველი ომისშემდგომი ნომერი, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, საბრძოლო ორდენმედლებით დამშვენებული ჯარისკაცი ივანე ცერცვაძე კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ გაზეთს და, ამ დღიდან მოყოლებული, მასთან ერთი საშვებულებო თვით განშორებაც კი ყველაზე დიდ სასჯელად მიაჩნია.

რამდენი საინტერესო, თქვენი და წინა პიონერული თაობების მიერ მოწონებული, ხალისით მხარდაჭერილი და ატაცებული ოპერაცია, აქცია, ლაშქრობა, კონკურსი, თამაში წამოუწყია და ჩაუტარებია „ნორჩ ლენინელს“, და თუ ყველა მათგანის არა, უმეტესობის უშუალო წამომწყები, სულისჩამდგმელი და უკლებლივ ყველას ყველაზე აქტიური და მოწადინებული ხელშემწყობი მუდამ ვანო ცერცვაძე გახლდათ. მისივე დამსახურებაა ისიც, რომ არასდროს არავის — არც დიდ მეცნიერს, მწერალს თუ მსახიობს, არც მოუცლელ მოწინავე მუშას და საზოგადო მოღვაწეს, არც გამოჩენილ სპორტსმენს — არავის უთაკილია, არავის დაუზარებია „ნორჩი ლენინელის“ მკითხველისთვის თავისი სიტყვის მიწვდენა. საკუთარი გაზეთისა და მისი მკითხველების წინაშე რედაქტორის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ისეთი განმაიარაღებელი ძალით გადაეცემა თითოეულს, რომ ყველა უმალ უდიდესი პატივისცემით იმსჭვალება რედაქტორის მიმართაც, რედაქციის მთელი კოლექტივის მიმართაც და იმ გაზეთის მიმართაც, რომელსაც ასეთი, მართლაცდა შესაშური, ერთგულებით ემსახურება ყველა, ვისაც ბატონი ვანო გაზეთის საშუალებით ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს აზიარებს, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მთავარია, ანდობს.

გაზეთის არც ერთი თაოსნობა არ ყოფილა ბავშვებისათვის მოსაწყენი, უსაგნო, ყურით მოთრეული და უსარგებლო. გავიხსენოთ თუნდაც სამეცნიერო-სამხარეთმცოდნეო თამაში „არაჩვეულებრივი მოგზაურობა", რომელიც „ნორჩმა ლენინელმა" ლენინგრადის, აზერბაიჯანისა და სომხეთის პიონერულ გაზეთებთან ერთად მოაწყო – რამდენი ახალი რამ შეიტყვეს ბავშვებმა ისტორიული ძეგლების, ზღვების, მდინარეების, მთების შესახებ, რამდენი ჰერბარიუმი, მინერალებისა და მწერების კოლექცია შეაგროვეს, რამდენი ჩაი მოკრიფეს, რამდენ ჰექტარ ბაღ-ვენახს მოუარეს, რამდენი ჯართი და მაკულატურა ჩააბარეს! „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში დაიბადა საქმიანი თამაშის იდეა, რომელსაც ერქვა „ვაშენებთ პიონერულ ქალაქს". ამ იდეის განხორციელებამ, რომლის ხორცშესხმა ისევ და ისევ „ნორჩმა" იდო თავს, უდიდესი სიხარული მოუტანა საქართველოს პიონერებს. მალე გაზეთს ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურებიც ამოუდგნენ მხარში და მათ მიერ ხმობილი გოგო-ბიჭები თავიანთი ოცნების ქალაქის – „მზიანეთის" შენებას შეუდგნენ. სასახელო საქმეებით, სწავლითა და გარჯით „აშენებდნენ" პიონერები თავიანთ ქალაქს. მეორე ეტაპზე ბორჯომის ხეობაში მოეწყო თამაშში გამარჯვებულთა შეკრება. ხუთასამდე პიონერმა გაატარა თორმეტი დაუვიწყარი დღე კარვების ქალაქში. მზიანეთელებმა თავისი ხელით გაიყვანეს ქუჩები და გამზირები, რადიო, სატელეფონო და ელექტროხაზი. ქალაქში სახელოსნოც მოქმედებდა, სასტუმროც, უგამყიდველო მაღაზიაც, მუზეუმიც, ფოსტაც, საქალაქო გაზეთი „მზიანეთიც" გამოდიოდა; ახლა გაზეთის თაოსნობით რესპუბლიკის სკოლებში შექმნილი „მწვანე საგუშაგოები" გავიხსენოთ, რომლებსაც აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ხელმძღვანელობდა – ათიათასობით ხე დარგეს და ახარეს მაშინ პიონერებმა, ათასობით კილოგრამი ტყის ჯიშების თესლი შეაგროვეს; სწორედ „ნორჩი ლენინელის" შექმნილი სწავლულთა დარბაზი ჩაუდგა სათავეში პიონერ-მოსწავლეთა ორწლიან ლაშქრობას ბუნებისა და კულტურის ძეგლების დასაცავად; იგივე „ნორჩი ლენინელი" ხელმძღვანელობდა წითელ-ლაშქრელთა მოძრაობას, რომელიც კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნა. მანვე შეჰყარა რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეთა ლაშქარი ლაფანჭამიასგან ნაძვნარის დასაცავად; ახლა „შავი საბადო", „თეთრი ფარი", „ნობათი წიქარასათვის" ავიღოთ – რა დიდი წვლილი შეიტანეს ამ ოპერაციების მონაწილე გოგო-ბიჭებმა საყოველთაო-სახალხო საქმეებში!

ბატონი ვანო დღესაც ბევრს აოცებს თავისი დაუზარებლობით, უშრეტი გამომგონებლობით, ნამდვილი პიონერული სულისკვეთებით. თვითონ მას კი მიაჩნია, რომ პიონერული გაზეთის რედაქტორს, უბრალოდ, უფლება არა აქვს სხვანაირი იყოს. პირადად მას მისი შრომაღვაწლის ხაზგასმით წარმოჩინება და დამსახურების აღნიშვნა უფრო აოცებს. ამბობენ, როცა ხუთიოდ წლის წინათ ბატონ ვანოს გაუგია, რომ არკადი გაიდარის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს – საბჭოთა კავშირის მარშალ ივანე ბაგრამიანთან, კოსმონავტ პავლე პოპოვიჩთან და მწერალ ანატოლ ალექსინთან ერთად, დიდად გაჰკვირვებია – მე რისთვისღა მომცეს ეს ჯილდოო?

არავის სხვას, ვინც ვანო ცერცვაძეს იცნობს, ეს ამბავი არ გაჰკვირვებია.

თქვენ კვლავაც გადაშლით „ნორჩ ლენინელს", თავიდან ბოლომდე ჩაიკითხავთ, მეოთხე გვერდის ბოლო სვეტსაც ჩაამთავრებთ და სულ დაბლა რედაქტორის ხელმოწერას დაინახავთ – ი. ცერცვაძე. მაშ, იცოდეთ, რომ მას – მოუსვენარ და დაუცხრომელ რედაქტორს ძალიან უყვარხართ თქვენ და ეს სიყვარულია მისი ამოუწურავი ფანტაზიისა და უშრეტი ენერგიის წყარო!

მანანა გელაშვილი

ჯემალ ინჯია

ჩვენი დრო

ბუნებას გამოვსთხოვთ სიმდიდრეს,
დავიპყრობთ თვალუწვდენ
მწვერვალებს.
არ გვაკრთობს მანძილის სიდიდე,
ჩვენი მზე დღეს უფრო ელვარებს.
მინდვრების მშრომელებს
ვუშველოთ,
ქარხნების კარები შევაღოთ,
ხალხს ჩვენი უნარი ვუჩვენოთ
ისე, რომ პარტიამ შეგვაქოს.
რომ ბაღად ვაქციოთ ჭაობი,
იდუმალს რომ ფარდა ავხადოთ
და გზები მომავალ თაობის
სავალად ადვილი გავხადოთ.
სამშობლო სიუხვემ მოიცვას, –
აი, რას ვესწრაფვით ნორჩები,
სულ ცოტაც გვაცალეთ, მოიცათ,
სასწაულს მოახდენს დრო ჩვენი!

ავთანდილ მეგრელიშვილი

ზრომა

ჩვენს საყვარელ მამულში
შრომის ჰიმნი გუგუნებს,
ჩვენ ამ შრომის ლამპარით
ვანათებდით უკუნეთს...
მიდის შრომით დაღლილი
მეოცე საუკუნე.

შრომა არის მიზანი,
სიცოცხლე და შენება,
შრომა არის მარადჟამს
კაცის, ქალის მშვენება,
სილარიბე-შიმშილის
სრული გადაშენება!

შრომით ვაღწევთ სურვილებს,
ვცხოვრობთ,
ვხარობთ, ვიზრდებით.
შრომა არის მიმღწევი
ყოველგვარი მიზნების!

დე, ის იყოს მუდმივი
თანამგზავრი ქართველის...
მომავალიც გვექნება
მდიდარი და ნათელი!

ნინო ბეზარაშვილი

მხატვარი
ირა რაზმაძე

პეპია

მოთხრობა

სოფელში მივდივარ არდადეგებზე, მატარებლის ფანჯრიდან გავყურებ მინდვრებს, სოფლებს. წლევანდელი კურსის ყველა საგანი ჩაბარებული მაქვს, ამ მხრივ დაარხეინებული ვარ, თუმცა გული მაინც მეთანაღრება რაღაცაზე. უჰ, როგორ მინდოდა, ცოტაოდენი ტკბილეული ჩამეტანა ბებიასთვის, მაგრამ სად რას ვიშოვიდი, რაც ომი დაიწყო, ქალაქში ყველაფერი გაქრა.

სოფლიდან რომ წამოვალ, ბებიას რაცა აქვს თავისი სიღარიბისა — ლეღვის ჩირია, ჩამიჩია თუ ჩურჩხელა, ჩამიწყობს კალათაში და გამომატანს ხოლმე; მე კი ხელცარიელი მივდივარ.

ცოტა ხანს კიდევ იარა ორთქლმავალმა, მერე ერთი ამოიქშინა და ჩემი სოფლის სადგურში გაჩერდა.

ჩამოვედი ვაგონიდან. სადგურის პატარა მოედანი სავსეა ხალხით, ვიღაცას ხვდებიან, აცილებენ. ყველას დარდიანი, დაღონებული სახე აქვს. მაშ რა იქნება, ზოგს ქმარი ჰყავს ალბათ ომში, ზოგს — შვილი, ზოგსაც — ძმა.

სადარდებელი მეც ბევრი მაქვს, მაგრამ ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, ბებიასთან რომ არაფერი მიმაქვს. უცბად რაღაცა გამახსენდა. სადგურში ერთი ბუფეტი იყო. ომის წინ, დიდ დასვენებაზე ჩვენი სკოლის მოსწავლეები იქ ცხელ-ცხელ „პონჩიკებს“ ვყიდულობდით. „იქნებ ახლაც იყოს?“ — ვთქვი გულში და ბუფეტისკენ წავედი. არც იქ ჩანდა რამე, თაროებზე ცარიელი ქილები და ბოთლები ელაგა. დახლის ქვემოთ კი, მინების იქით, ქუჩბად დაწყობილი მწვანილი და ბოლოკი მოჩანდა. იქვე რაღაც მრგვალ, პატარა ნამცხვარსაც მოვკარი თვალი. ძალიან გამიხარდა, მაშინვე გამყიდველ ქალს ვკითხე:

— რა ღირს ეს ნამცხვარი?

— რა, „კორჟიკი“? ოთხი მანეთი.

მეძვირა, მეტი ფული აღარც დამრჩებოდა, მაგრამ ისე ძალიან მინდოდა, ბებიასთვის რამე მიმეტანა, რომ სულაც არ დამიზოგია ფული, ოთხი მანეთი იმ წუთსავე დახლზე დავუდე ქალს. მერე ნაცრისფერ ქაღალდის ნახევში გახვეული „კორჟიკი“ გამოვართვი, ჩანთაში ჩავდე და გამოვბრუნდი.

რკინიგზას დავადექი. საიდანაც მომიყვანა მატარებელმა, ისევ იქით წავედი. ჯერ ლიანდაგზე ვიარე, მერე ორღობეში შევუხვიე.

ეზოში რომ შევედი, ბებია ლეღვის ქვეშ, სიპ ქვაზე მარტო იჯდა, გამხდარი, მხრებში საცოდავად მოხრილი, თავისი თალხი, მზეზე გახუნებული კაბა მუხლებზე გადაეფინა და აკერებდა. ფეხის ხმაზე გამოიხედა, გაუხარდა ჩემი დანახვა. კაბა იქით გადადო, აჩქარებით წამოდგა და ხელგაშლილი შემომეგება.

—მატარებლით მოხვედი, შვილო?

— ჰო, ბები, მატარებლით მოვედი.

— აგრემც არ ვიქნები, რომ მცოდნოდა, ხო დაგხვდებოდი სადგურში!..

— ისედაც კარგად მოვედი, ბები, შენ რაღად უნდა გეწვალა.

ბებია ისევ ქვაზე ჩამოჯდა, მეც გვერდით მივუჯექი. ვლაპარაკობდით, ხან რა ვთქვით, ხან რა. ბოლოს ჩემი მოტანილი „კორჟიკი“ ამოვიღე ჩანთიდან, ქაღალდი გადავხსენი და ბებიას მივაწოდე:

— ბები, აბა, ნახე, იქნებ მოგეწონოს.

— რად მინდოდა, შვილო, მე ყველაფერი მაქვს, რაც იშოვნო, შენთვის გამოიზოგე.

ბებიას საიდან რა უნდა ჰქონოდა, ქმარი იმას არ ედგა თავზე და შვილებიც ომში იყვნენ წასულები, მაგრამ სულ მშიერი რომ ყოფილიყო, მაინც ასე იტყოდა ხოლმე: „ყველაფერი მაქვსო“. არ უყვარდა წუწუნი.

— ჭამე „კორჟიკი“, ბები, — არ ვეშვები მოხუცს.

ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ბებიამ აიღო „კორჟიკი“, ცალ ხელში დაიჭირა, მერე მეორე ხელის სალოკი და ცერი თითი ჩაჰკიდა, ალბათ უნდოდა, ცოტა ჩამოეციცქნა, მაგრამ გაუძნელდა. კიდევ სცადა, თითებს ძალა დაატანა და როგორც იქნა ჩამოატეხა. „კორჟიკმა“ ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება! გთავაზობთ ახალ რუბრიკას!

„მწერლის ფოსტა“

ამასწინათ ჩატარდა ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის გაფართოებული სხდომა. კოლეგიის წევრების გარდა სხდომას ესწრებოდნენ მწერლები, პუბლიცისტები, საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე მომუშავე მეცნიერ-მუშაკები.

გაიმართა მეტად საინტერესო სჯაბაასი, გავაანალიზეთ ჟურნალის ავკარგი, გამოითქვა ბევრი საყურადღებო მოსაზრება, წინადადება, შემოგვთავაზეს რამდენიმე ახალი თემა, რომელთა გაშუქებასაც ჟურნალმა მეტი დრო და ადგილი უნდა დაუთმოს. საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჟურნალის კავშირს მკითხველებთან. ითქვა, რომ ის შეხვედრები, რომელსაც ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები ატარებენ მკითხველებთან ადგილებზე, თავიანთი მასობრიობის გამო ყოველთვის ვერ იძლევიან თითოეულ მკითხველთან უშუალო კონტაქტის საშუალებას. ნორჩი მკითხველი უმეტესწილად ერიდება ასეთ პირობებში თავისი გულისნადების, სატკივარის, პრობლემების გამჟღავნებას და ამიტომ პასუხსაც ვერ ღებულობს მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა, — ჟურნალის რედაქცია შეხვდა თავის მკითხველებს, მაგრამ სწორედ მკითხველებს და არა თითოეულ მკითხველს ცალ-ცალკე. რამდენი კითხვა დარჩა უპასუხოდ, რამდენი მოსაზრება — გამოუთქმელი, ტკივილი — გაუზიარებელი!

სხდომის ყველა მონაწილემ ერთხმად მოიწონა მოსაზრება, ჟურნალის ფურცლებზე შემოვიღოთ ახალი რუბრიკა — „მწერლის ფოსტა“, რომელიც ხელს შეგვიწყობს მკითხველსა და ჟურნალს შორის უშუალო, გულწრფელი ურთიერთობის დამყარებაში. განყოფილებას „მწერლის ფოსტა“ რედაქციის თხოვნით წარუძღვება მწერალი თენგიზ გოგოლაძე. ჩვენი მკითხველების უმრავლესობა ალბათ იცნობს მის შემოქმედებას. იგი 45-მდე წიგნის ავტორია. განსაკუთრებით გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ მის გახმაურებულ საყმაწვილო ნაწარმოებებზე „რით ვჯობივარ მამაჩემს“, „შუქი სიკეთისა“, „მერცხლები“, „მხარდამხარ“ და სულ ახლახან გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ დასტამბულ კრებულზე „უკანასკნელი გაკვეთილი“.



თენგიზ გოგოლაძე

რედაქცია იმედოვნებს, რომ ჩვენი მკითხველი ინტერესით მოეკიდება ამ ახალ წამოწყებას. გამოგზავნეთ წერილები, შეკითხვები, რომლებიც შეეხებიან თქვენს ურთიერთობას ამხანაგებთან, მეგობრებთან, უფროსებთან. „მწერლის ფოსტა“ შეგახვედრებთ საინტერესო ადამიანებს, გაგაცნობთ იშვიათ პროფესიებს, მოწინავე მუშებს, ხელოვნების მუშაკებს, უბრალოდ — კარგ ხალხს, იმათ, ვინც თავიანთი პატიოსანი შრომით, ზნეკეთილობით სამაგალითონი არიან. ვისაუბროთ თქვენი და თქვენი თანატოლების მისწრაფებებზე, იმაზე, თუ რა მიგაჩნიათ ფასეულად, რა მოგწონთ, რას უარყოფთ. ერთი სიტყვით, ვილაპარაკოთ ყველაფერზე, რაც გაინტერესებთ და გაღელვებთ.

მაშ, ასე, 1988 წლის 1-ლი ნომრიდან ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ჩნდება ახალი რუბრიკა — „მწერლის ფოსტა“.

ველით თქვენს გამოხმაურებას. წერილები გამოგზავნეთ რედაქციის მისამართით, მინაწერით: „მწერლის ფოსტა“.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია

ხმა გაიღო, თითქოს რკინა გადაამტვრიესო.

— ვაიმე, რა ხმელი ყოფილა, ბებ-



ბი. როგორ უნდა დაღეჭო, კბილებიც არა გაქვს. — ვეუბნები შეშფოთებული.

— არა უშავს რა, შვილო, პირში დალბება, — დამაიმედა ბებიამ.

გული დამეხურა, ყელშიაც რაღაცა მომებჯინა, ლამის ტირილი დავიწყე. ბებიამ ლოლნა, ლოლნა პაწაწინა ნატეხი, და როცა ჩაყლაპა, „კორჟიკი“ ახლა მე გამომიწოდა:

— ეს კიდევ შენა ჭამე, შვილო, მაგარი კბილები გაქვს, კარგად დაკვნეტავ.

— მე არ მინდა, ბები, შენთვის მოვიტანე, ძლივს რაღაცა გიყიდე და, ესეც რა ხმელი გამოდგა...

— ამის მეტი სადარდებელი ნუ მოგცა ღმერთმა, ან ეს როგორ იშოვნე, გოგო, ძველი დარჩენილა, თორემ ახლა სადღა რა არის!..— გამიქარწყლა ნაღველი ბებიამ.

მას შემდეგ, სადაც ფუმფულა ნამცხვრებს დავინახავ, იმ წუთსავე ჩემი საწყალი ბებია და ის გამხმარ-გაწიებული „კორჟიკი“ გამახსენდება ხოლმე. აფსუს, ახლა რამდენი კარგი რამეა... ის კი აღარ არის ცოცხალი...



მე თითოეული მოსწავლის მჯერა

ნანა ფავლენიშვილი

ფოტო დ. იაკობაშვილისა

რედაქციაში მოსწავლეთა კოლექტიური წერილი მოვიდა. ბავშვები გვთხოვდნენ, ჩვენი მკითხველებისათვის „პიონერის“ ფურცლებზე მათი საყვარელი მასწავლებლისა და დირექტორის, ავთანდილ ყღენტის შესახებ მოგვეთხრო. იმასაც გვთხოვდნენ, მათი ვინაობა არ გაგვემხილა. ჩვენც ვასრულებთ მათ თხოვნას.

და აი, რედაქციის დავალებით მივდივარ თბილისის 39-ე საშუალო სკოლის დირექტორის გასაცნობად. ცა დილიდანვე ისეა მოღუშული, ხეგონება, არასოდეს გამოიდარებსო. ცივა, გულისგამაწვრილებლად ცრის.

მაგრამ მე ახლა ისე ვარ მომავალ საუბარზე ფიქრით გართული, სულაც არ მადარდებს ეს მომაბეზრებელი წვიმა და სიცივე. დღეს სკოლაში მივდივარ, ჩემს უდარდელ და სანატრელ ბავშვობასთან შესახვედრად...

აი, სკოლაც! დიდი, ლამაზი შენობაა. მღელვარებით შევაღე კარი — თითქოს ისევ მოსწავლე ვიყო. სამასწავლებლოში მითხრეს, დირექტორს მეთერთმეტე კლასში აქვსო გაკვეთილი. საკლასო ოთახთან დავუხვდი ბატონ ავთანდილს, ჩემი ვინაობა გავაცანი და ვთხოვე, ნება დაერთო, გაკვეთილს დავსწრებოდი. „მობრძანდითო“, — თავაზიანად შემიპატიჟა. ყმაწვილებმა ცნობისმოყვარეობით შემომხედეს. მერხს მივუჯექი და კოხტად ჩაცმული გოგონები და ბიჭები შევათვალიერე. ყველა ერთნაირად მომეწონა.

ყოველთვის, როცა უცხო ვინმე ესწრება გაკვეთილს, მოსწავლეები ცდილობენ არაფერი შეეშალოთ, არ იწრიალონ, არ ისაუბრონ, მოკლედ —— იძაბებიან. აქ კი სულ სხვა ატმოსფერო სუფევს, გულღია საუბრის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის ატმოსფერო. იგრძნობა ბატონი ავთანდილის მახვილი პედაგოგიური ალღო და დიდი გამოცდილება, პროფესიული ოსტატობა, რომლითაც იგი ასე ძალდაუტანებლად და თავისუფლად მართავს ასტრონომიის გაკვეთილს. ასტრონომია თავისთავად ძალზე საინტერესო საგანია, მაგრამ მასწავლებელი ცდილობს უფრო გაუმძაფროს მოსწავლეებს ინტერესი საგნისადმი, ყურადღებით უსმენს მოზარდს, არ აჩქარებს, საშუალებას აძლევს იფიქროს, ბოლომდე გამოამჟღავნოს ცოდნა. შეუმჩნევლად გარბის დრო. გამოსასვლელი ზარი რომ დაირეკა, ბავშვებს სინანული გამოეხატათ სახეზე, კიდევ და კიდევ აძლევენ შეკითხვებს მასწავლებელს, საინტერესო დეტალებს აზუსტებენ...

მე და სკოლის დირექტორი მის კაბინეტში ვსაუბრობთ.

— რატომ მაინცდამაინც ჩემზე უნდა დაწეროთ? — გულწრფელად უკვირს ავთანდილ ჟღენტს.—ვითომ რას ვაკეთებ განსაკუთრებულს?

...განსაკუთრებულს — არაფერს, ბატონო ავთანდილ, გარდა იმისა, რომ კეთილსინდისიერად და საქმის უსაზღვრო სიყვარულით ემსახურებით დიდ საშვილიშვილო საქმეს — ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი თაობის აღზრდას. და ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს საქმიანობა აუცილებელია თქვენთვის, უამისოდ არ შეგიძლიათ; ერთი სიტყვით, შემთხვევითი ადამიანი არ ბრძანდებით სკოლაში...

— ბავშვები ბავშვობიდანვე მიყვარდა, — ეღიმება ბატონ ავთანდილს. — ამ სიყვარულმა მომიყვანა სკოლაში. ვისაც მოსწავლე სა-

მასწავლებელი, ჩემი ჯანმრთელი მასწავლებელი

კუთარი შვილივით არ უყვარს, ამ ჭერქვეშ არაფერი ესაქმება. საგნის უდიდესი სპეციალისტიც რომ იყოს...

დავიბადე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში. იქვე დავამთავრე სკოლა. დიდი ამაგი დამდო ჩემმა მათემატიკის მასწავლებელმა ევგენი უნგიაძემ. მან შემაყვარა ეს საგანი, რისთვისაც მუდამ მადლიერი ვიქნები მისი. სწავლა განვაგრძე ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. პრაქტიკას ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლაში გავდიოდი. სწორედ პრაქტიკის დროს გადავწყვიტე, ჩემი მომავალი სამუდამოდ სკოლასთან, ბავშვებთან დამეკავშირებინა. შემდეგ ვსწავლობდი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თან ვმუშაობდი 132-ე სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. არასოდეს დამავიწყდება ჩემი დიდი მოამაგის, ჭეშმარიტი პედაგოგის, მიხეილ ბურჭულაძის ღვაწლი. მერე ვმუშაობდი 160-ე სკოლის დირექტორის მოადგილედ, გლდანის რაიონის 'განათლების 'განყოფილების სასკოლო ინსპექტორად, 1984 წლიდან კი 39-ე საშუალო სკოლას ვხელმძღვანელობ.

— ალბათ დამეთანხმებით, ბატონო ავთანდილ, თანამედროვე პირობებმა მოითხოვა, რომ მასწავლებლისა და ოჯახის ურთიერთობა უფრო მჭიდრო, ყოველმხრივი და ჰარმონიული გახდეს.

— ბავშვის სულიერი სამყარო ადამიანებთან ურთიერთობაში ყალიბდება. უმთავრესი და უპირველესი აქ ოჯახია, სადაც მშობლების მაგალითი გავლენას ახდენს მოზარდის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ სულიერ სამყაროზე. თუ ოჯახის წევრები პატიოსანი, თბილი, კეთილი ადამიანები არიან, ბავშვიც უთუოდ ასეთი გაიზრდება, რადგან პატარები ყოველთვის ბაძავენ უფროსებს, ცდილობენ დაემსგავსონ მათ.

შემდეგ ბავშვი სკოლაში მიდის, სადაც მას უცნობი საინტერესო სამყარო ელის. ამ დროს ხვდება მას პირველი მასწავლებელი. გაცისკროვნებული თვალებით შესცინებენ პატარები ახალ უფროს მეგობარს. — გამგებს, კეთილსა და გულისხმიერს. მასწავლებელი ბოლომდე ასეთი უნდა დარჩეს, რადგან არ შეიძლება ბავშვის ნდობის გაბზარვა, ეს ტკივილი ხომ მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება.

— სამწუხაროდ, გვხვდებიან ბავშვები, რომლებსაც არც სწავლა უნდათ და არც შრომა!

— სწორედ აქ არის საჭირო განსაკუთრებული პედაგოგიური ტაქტი. მომთხოვნელობა, სითბო და ალერსი. ცნობილია, არც ერთი ბავშვი დამნაშავედ არ იბადება — ოჯახისა და სკოლის მოვალეობა სწორედ ისაა, რომ ბავშვში არ ჩამოყალიბდეს ისეთი ჩვევები და მისწრაფებები, რომლებიც შემდგომში დაამახინჯებენ მის სულსა და ცხოვრებას. მუდამ მახსოვს ა. მაკარენკოს სიტყვები: „რაც შეიძლება მეტი პატივისცემა მოსწავლისადმი!“ ამიტომ ვცდილობ, ბავშვში მუდამ კარგი დავინახო, ვცდილობ, წინასწარ განვსაზღვრო მისი მომდევნო ნაბიჯი. მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ მასწავლებელი დაინტერესებულია მისი სულიერი სამყაროთი, ცხოვრობს მისი ცხოვრებით, იზიარებს მის სიხარულსა და გულისტკივილს. ვ. ი. ლენინი წერდა: „საქმე სასჯელის სიმკაცრეში კი არა, დანაშაულის შეგნებაშია“. ყოველთვის ვცდილობ, ბავშვს დანაშაული შევაგნებინო დარიგებით და არა დასჯით... ჩემს პრაქტიკაში ყველაფერი ია-ვარდით როდი ყოფილა მოფენილი. მქონდა სიხარულის დღეები. მქონდა წარუმატებლობაც. მაგრამ სიკეთისა მჯერა, სიკეთით დამარცხებული ბოროტება საბოლოოდ არის დაძლეული. ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. რამდენი ბავშვიცაა, იმდენი ამოუხსნელი სამყაროა, იმდენი ხასიათია, და მათი სწორად ჩამოყალიბება თუ გინდა, იმ სამყაროს საიდუმლოება უნდა ამოხსნა და სწორად გაიგო.

39-ე საშუალო სკოლაში მაღალი აკადემიური მოსწრებაა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ბატონი ავთანდილი სამართლიანი და მომთხოვნი ხელმძღვანელია. მთელი პედაგოგიური კოლექტივი, ყოველი მასწავლებელი ცდილობს ბავშვებს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა მისცეს, ჩააბას ისინი შრომის ფერხულში, აცხოვროს სკოლის საინტერესო და მჩქეფარე ცხოვრებით.

რთული და საპატიო პროფესია აირჩია ავთანდილ ჟღენტმა, მაგრამ სხვაგან შრომა და არსებობა მას ერთი დღითაც კი ვერ წარმოუდგენია, ვერ წარმოუდგენია ცხოვრება სკოლის, საყვარელი ბავშვების გარეშე. მის სწორ არჩევანზე, მის დაუღალავ კეთილშობილურ საქმიანობაზე მეტყველებს მისი მაღალი ავტორიტეტი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში, მოსწავლეებში, მათ მშობლებში.

თითქმის უცვლელად მომყავს ერთი, ეგრეთ წოდებული, ძნელად აღსაზრდელი მოსწავლის წერილი:

„ჩემო საყვარელო ავთანდილ მასწავლებელო!

მე დღეს სკოლაში ვიყავი და ვერ ვნახეთ. მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ ყველაფრისათვის. და ყველაზე მეტად იმისათვის, რომ გწამდათ ჩემი. სულ მალე ჩემს პირველ ხელფასს ავიღებ... მუდამ მეხსომება თქვენი პატივისცემა და სითბო. არ აოს ღღე, რომ თქვენმა სიკეთემ არ მიწინამძღვროს“.

ბატონო ავთანდილ, ჩვენც გვინდა გისურვოთ, რომ ყველა თქვენი აღსაზრდელისათვის, ამ ყმაწვილის მსგავსად, მუდამ კეთილ, ნამდვილ მეგობრად, ჭეშმარიტ აღმზრდელად და ცხოვრების მეგზურად დარჩეთ. გვინდა გვჯეროდეს, რომ არც ისინი შეარცხვენენ თქვენს სახელს.

ა. სერაფიმოვიჩი
მხატვარი
ზაურ დეისაძე

სამი მეგობარი

მოთხრობა

1

დილაადრიანზე, როცა მზე, ის იყო, თავზე წამოდგომოდა მეზობლის ქოხსა და ოქროს სხივებში გაებლანდა ტირიფის ხე, მცხუნვარება კი ჯერ არ ხლებოდა, შვიდი წლის ვანიატკა უკვე ამდგარიყო სკამლოგინიდან, სადაც დედა ქვეშაგებს უგებდა ხოლმე, და ოთახის დახშულ ჰაერს გარიდებოდა.

ეზოში თავსაფრით თავწაკრული გამხდარ-გამხდარი დედა ქათმებს საკენკს უყრიდა.

— ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუ!

ყველა მხრიდან გამორბოდნენ ქათმები და ინდაურები, აჯაბაჯა მოიჩქაროდნენ ინვები და ბატები. ოდნავ ყურაწეული ღორებიც ღრუტუნ-ღრუტუნით აქეთ ეშურებოდნენ და თან აფრთხობდნენ, თან იგერიებდნენ ფრინველს. ქალი უწყრებოდა:

— იქით, იქით გამეცალეთ!

ვანიატკამ კი წნელს დასტაცა ხელი და თამამი კიჟინით გამოუდგა აჭყვიტინებულ ღორებს.

— ქუჩაში გადადენე! — უყვიროდა ბიჭს დედა.

ვანიატკა დიდ გაწამაწიაში ჩავარდა — ხან წინიდან, ხან უკნიდან წნელით სცემდა შემოსეულ ღორებს, რომლებმაც ბოლოს მაინც ვერ გაუძლეს დევნას და ლატანის ჭრიალა, ღია ჭიშკარს მისცვივდნენ. ერთი მათგანი, ყვითელლოჯებიანი ტახი, არ შეეპუა პატარა ვანიატკას და თითქოს მუქარითაც კი მიუბრუნდა:

— აბა, მოდი, თუ ბიჭი ხარ, მოდი!..

ბიჭმა იცოდა, რომ არაერთი ძაღლი ჰყავდა ამ ტახის ეშვებს დაგლეჯილი. მამამისს ისიც კი ჰქონდა ნათქვამი, ერთხელ მინდორში მაგ ღორმა ცხენიც გამოფატრა, იმან რომ გოჭს მარცხად ფეხი დაადგაო. მძორი ტბაში გადააგდეს და როცა გაიხრწნა, თევზები და კიბორჩხალები დაეხვივნენ საწიწკნადო.

ვანიატკამ ტახთან მიირბინა. ღორი მასზე მაღალი ჩანდა, ბიჭმა იგრძნო მისი თბილი და მყრალი ამონასუნთქი და მაგრად უჭირა წნელი ავ თვალებშუა. ღორი შებრუნდა და მძიმედ გაიქცა ქუჩისკენ. დედამ კი შეშფოთებით უყვირა ვანიატკას:

— დაანებე, შე ქაჯო, თავი! გინდა, წელები დაგაყრევინოს? — და ერთიც მაგრად წაუთაქა.

და როცა ბავშვი ყურისწამღებად აბღავლდა, დედამ ცხვირი მოხოცა და დაუყვავა:

— კარგი, ნუ ტირი, შვილო, მიდი თავლაში, მამას დაეხმარე — ცხენს უბამს სათიბში წახასვლელად.

ბიჭმა თავლისაკენ მოკურცხლა. მამას ფორანისათვის უკვე შეეყუდებინა რკალი, იოლად ატრიალებდა ღერძზე აწეულ ბორბალს და კუპრს უსვამდა. ვანიატკა ერთხანს შედგა და ჭროღა თვალები ეშმაკურად შემოატარა იქაურობას. თეთრყირმიზა ბიჭს მზისა და ტრამალის ქარებისაგან წარბები გამოხუნებოდა, ცხვირიც სულ აქერცლოდა. მას ძალიან უნდოდა თავისი ხელით ჩაეწო შავი ფუნჯი კუპრიან მომცრო ვედროში. ღერძზე აწეული ფორნის თვალიც უნდოდა ებრუნებინა, მაგრამ იცოდა, რომ ამისათვის მამა კარგად გაასილაქებდა; არადა, მახაც სურდა ის ეკეთებინა, რასაც უფროსები აკეთებდნენ, თუმცა ამის ღონე არ შესწევდა. ერთხანს უცქირა დაფერდებულ ფორანსა და მის გვერდით—მამის განიერ მოხრილ ზურგს. მერე კი საჯინიბოში შეძვრა. აქ ჩალის სახურავის ქვეშ მერცხლები დაუცხრომლად რიალებდნენ, ერთ-ერთ კუთხეში კი ჩიჩვირჩამოშვებული და თვლემამორეული პეგაში ყვინთავდა. უაღვირო, უცალუღო, ჭაპნის ღვედებახსნილი ცხენი შიშველი გეგონებოდათ.

ცალუღი კედელზე მიჭედილ დიდ ლურსმანზე ეკიდა. ვანიატკა ფეხის წვერებზე შედგომით მიწვდა მას, მაგრამ ჩამოღება ვერ შეძლო — მძიმე იყო; მაშინ ხელი წაავლო ღვედებს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოსწია. ცალუღი მძიმედ დაეცა ნეხვზე. ვანიატკამ აიღო და წვალებით მიათრია ცხენის მუხლებამდე. მერე, დაძაბულობისაგან გაჭარხლებულმა, როგორც იყო, დრუნჩამდე მიუტანა ცხენს და უნდოდა მისთვის კისერზე ჩამოეცმია: ცხენმა ლაშების თვინიერი ცმაცუნით თავი დახარა, წაგრძელებული კისერი მიუშვირა ბიჭს, რომ ცალუღის ჩამოცმაში დახმარებოდა. მაგრამ ვანიატკა ვერასგზით ვერ ახერხებდა ამას, რადგან ღვედებში გახლართულიყო; ბოლოს, დიდი წამებით, როგორც იქნა, ცხვირზე ჩამოადო ცალუღი; კისრამდე მიტანა კი მაინც ვერ შეძლო. პეგაშს უკვე მობეზრდა ბიჭის ფორიაქი და უცბად თავი მაღლა აიქნია. ცალუღი თავისთავად მოერგო მის კისერს. იმავე დროს, ვანიატკაც ხაშინლად აყვირდა: ბიჭი იმნაირად გაჩხერილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვედებში, რომ ცალუღს ცხენის კისრამდე აეტაცა და ჰაერში გადმოეკონწიალებინა. ჰეგაში კი წყნარად იდგა და ხანგამოშვებით თუ წაიცოხნიდა ხოლმე.

ბიჭის კივილზე მამა სწრაფად შევარდა თავლაში და ძირს ჩამოსვა ჰაერში გადმოკიდებული და დაკაწრული ვანიატკა, თანაც ერთი ისე ლაზათიანად უთაკა, რომ ბავშვი თავლიდან გავარდა და ღრიალით მიაშურა დედას, მაგრამ, სანამ მასთან მიირბენდა, კუდაპრეხილ, თეთრდრუნჩიან, ღია ბაკიდან გამოცვენილ ბოჩოლებს გადაეყარა, რომლებიც ეზოში კუნტრუშობდნენ. ვანიატკამ წკეპლას დაატანა ხელი, ხბორები ქუჩაში გაიგდო და მერე, ბაღჩის შემოვლით, გორაკზე არეკა.

აქ სამი ყორღანი გადაშლილიყო სამ ალალ ძმასავით. ამათ მიღმა იყო ის სათიბი, სადაც მამას ბალახი უნდა ეცელა.

ხბორები პატარა ხევში ჩაეშვნენ და კუდების ქნევით ბალახს კორტნიდნენ. ვანიატკა კი მათკენ ზუგრშექცევით, ხელისგულის მოჩრდილებით, სულ სხვა მხარეს გასცქეროდა; ხუტორის მიღმა გადაჭიმულიყო ვრცელი მდელო, რომელზეც ბზინვით იკლაკნებოდა პატარა მდინარე, და ჩამუქებულიყო ტირიფის ხეები; უფრო შორს კი, ჩხირებივით ჩანდნენ ტელეგრაფის ბოძები. ნელა, ცხრაფეხასავით, მიხოხავდა მატარებელი, ძლივს დასალანდი იყო ამონაბოლქვი კვამლიც.

შემდეგ ბიჭმა მოპირდაპირე მხარეს მიაპყრო მზერა. იქ კი, სადაც ბურუსში იკარგებოდა ლიანდაგი, ქალაქი იყო. თავად ქალაქი არ ჩანდა, მხოლოდ შორეთში კიაფობდა რაღაც ვარსკვლავის მაგვარი რამ. ეს იყო ტაძარი.

დიდხანს უმზირა ვანიატკამ შავმოიისფრო ნისლს, დასალიერამდე რომ დაეფარა მიწა, ნატრობდა, ცალი თვალით მაინც ენახა, როგორია ეს ქალაქი — როგორი ქოხებია იქ, როგორი ღობეები, ქათმები, ძაღლები. ისევე თუ ჭრიალებენ გაუპოხავი ფორნები, როგორც მათთან, სოფელში.

მალე ქალაქიც მიავიწყდა, მუხლისთავებზე დაეშვა და ბალახებში ფათურით ძებნა დაუწყო ველის კომბოსტოს. მოწყვიტა ხორცოვანი ტლანქი ფოთოლი. შემდეგ მეაუნას წაწყდა. სულ ბოლოს ჭიანჭველების ბუდეში შესჩარა ჩხირი და ზედმოდებული ჭიანჭველმეავა გალოკა.

ვანიატკამ მიიხედ-მოიხედა. მზეს მაღლა ამოეწია და სიცხე დაეყენებინა, რის გამო ტრამალიც კი თამთამებდა ნაზი თრთოლვით.

ვანიატკა სირბილითა და ხელების ფრთებივით ქნევით დაეშვა გორაკიდან — მოშიებოდა და შინ ეშურებოდა.

2

ეზოს პაპანაქება დასწოლოდა; უამრავი ბუზი ბზუილ-ბზუილით ნაკელს დახვეოდა. მერცხლები თავაწყვეტილად დაბლა-დაბლა მიჰქრი-მოჰქროდნენ.

დედა ეზოში ამოყვანილ თონესთან ფუსფუსებდა — პური იყო წასაღები სათიბში.

— ნეტავი წვიმა არ მოვიდოდეს, მერცხლები რაღაცნაირად აფორიაქდნენ, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მან.

...ქოხში პურის ჭამად დამსხდარიყვნენ ვანიატკა, მისი ორი წლის პატარა დაიკო და დედა; უფროსი დაძმა მამას ეხმარებოდა სათიბში.

— დედიკო, — მიმართა დედას ვანიატკამ და გამობერილ მუცელზე ქამარი მოიბოშა. — მე მამასთან წავალ. აქ მაინც არაფერს ვაკეთებ.

— „წავალს“ მოგცემ მე შენ!.. ისეთს გაგტყეპავ, თავი ვერ იცნო!

— აბა აქ რა მინდა... — ტირილი გააბა ბიჭმა.

— სუ-მეთქი! წაიყვა ნიურკა ეზოში! კარგად მიხედე, არაფერი მოიწიოს, ამას წინაზე ხომ ცხვირი გაიტეხა. გასწით!

ვანიატკას მეტი რა ჩარა ჰქონდა, მკლავები წელქვემოთ მოხვია დაიკოს და გარეთ გაათრია. აქ მოწყენა სუფევდა: პაპანება, ბუზის ბზუილი და ფრთაშავა მერცხლების ჭიკჭიკით ნავარდი.

დედამ ჭურჭელი რომ აალაგა, ეზოში ნეხვის ზელას შეუდგა. შიშველი, წუნწუხით შეთითხნილი ფეხები მძიმედ ამოჰქონდა ნაკელიდან. მოზელის შემდეგ აგურებად დაჭრილს გაახმობდა მზეზე და ზამთარში სათბობად ღუმელში შეყრიდა.

ბავშვები ქუჩაში გავიდნენ და სათამაშოდ ჩასხდნენ შუაგულ ცხელსა და ფაფუკ მტვერში. მათ ერთი კერატი მიუახლოვდა, ერთხანს დადგა და უცქირა პატარებს, მერე კი ისევ მიუბრუნდა სარეველა ბალახს, ჭარბად რომ მოსდებოდა გზის პირებს.

წამოვარდა ვანიატკა, გამოუდგა ღორს და გააქცუნა, მობრუნებული კი დაიკოს მივარდა პირდაჯღანული და თვალებგადმოკარკლული.

— ნიურკა, აბა, მოუსვი ჩქარა, დედიკოსთან გაიქეცი, თორემ ღორი შეგჭამს.

გოგონა საწყალობლად ატირდა, პაწია ხელისგულები თვალებზე მიიფარა და კოჭლობით გასწია ჭიშკრისაკენ. ვანიატკა კი სულისმოუთქმელად გაიჭრა ქუჩით. შიშველ ტერფებს მტვერი უწვავდა. ბაღჩის შემოვლით, სულშეგუებებული ავარდა გორაკზე.

აქედან კარგი სანახაობა გადაეშალა თვალწინ. დაინახა ვრცელი ველი, ზედ მდინარე ელვარებდა, სიცხისაგან გათანგული. ძაფივით გაწოლილიყო რკინიგზაც, მაგრამ ვანიატკას ახლა სულაც არ ჰქონდა მათი თავი. სირბილი განაგრძო იმ მიმართულებით, სადაც სამი ყორღანი სამ შეფიცულ ძმასავით აღმართულიყო.

შემხმარი ბალახი შიშველ ფეხებს ჩხვლეტდა და მზეც იკბინებოდა. ზოგჯერ ვანიატკა ბალახში ჩაჯდებოდა, ორივე ხელით ჩააფრინდებოდა ფეხს, ამოიბრუნებდა და ცხვირთან მიიტანდა ფეხისგულს, ნერწყვით მოფხეკდა ზედმიკრულ მტვერსა და ჭუჭყს, მერე ჩაავლებდა თავის ჩაშავებულ ფრჩხილებს შერჭობილ ეკალს, ამოაძრობდა და ისევ გაქანდებოდა — სათიბამდე უნდოდა მიეღწია. იქ ბალახი ასეთი კი არ არის, როგორიც გორაკზეა — მაღალია და ხშირი. გარბის, თან ფიქრობს: მამა ახლა სათიბ მანქანაზეა შემჯდარი და მის გრუხუნში მართავს დანა-ცელებს. ვანიატკას უფროსი ძმა კი ერეკება გაოფლილ ცხენებს, ვარკა, უფროსი და, წივაზე კერძს ხარშავს. ვანიატკა ახლო მივა მათთან; ძმას ეტყვის: „მოიტა, ალიოშა, გიშველო“, და შეენაცვლება მას. ვანიატკას წყალობით მანქანა უფრო მარდად ამუშავდება. შეხედავს მამა მის მარჯვე გარჯილობას და წამოიძახებს: „ვანიატკას დამიხედეთ, რა ყოჩაღი ყოფილა!“

და ანაზდად ატირებული ნიურკა გაახსენდა: შინ რომ დაბრუნდება, აუცილებლად მიეეკვენ. ჩამწარდა ბიჭს ყველაფერი, სევდით გულიც შეეკუმშა. შეჩერდა და მიმოიხედა: შორეული ხრამის მიღმა აღარ ჩანდა სათიბი, მდინარეც დამალულიყო, არც რკინიგზის ხაზი იყო სადმე. მხოლოდ მოიისფრო ნისლი დამდგარიყო შორს. ველის განაპირას და მასში ძლივს გამოკრთოდა პატარა ვარსკვლავის ციმციმი — შორეული ტაძარი.

ბიჭის წინ კი ტრამალი გაწოლილიყო, და ისევ ისე იდგა სამი ყორღანი, სამ ალალ ძმასავით.

მირბის ვანიატკა. ჩაეშვა პატარა ხევში, და ზევით რომ ამოდიოდა, უცებ შეჩერდა: მის წინ რომელიღაც

18.715

ეროვ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ყღალი ფრინველი მოწყვეტით დაეშვა, მერე სწრაფად წამოფრინდა და მეორედ დაეცა რაღაცას. კიდევ აიწია ძლიერი ფრთების ფრაშფრაშით და ახლად დაენარცხა ყღალი ფერის დიდი მორგვივით. მის ქვეშ კი პაწია რამ, ცოცხალი და ყვითელი, ძაგძაგებდა.

ვანიატკა უმალ მოსწყდა ადგილს, მიირბინა და ხედავს, თუ როგორ ჩვილი ბალღივით, წვრილი ხმითა და შესაბრალისად წრიპინებს ბაჭია, არ ნებდება ძერას. აიწევდა თუ არა ფრინველი, ბაჭიაც ორ-სამჯერ შეხტებოდა, მაგრამ ძერა ისევ მივარდებოდა, კლანჭებითა და ნისკარტით წეწდა და აწამებდა. პატარა კურდღელი აჭყვიტინდებოდა და შეხტებოდა ისევ, მაგრამ ძერა დაეწვებოდა და გასაქანს არ აძლევდა.

ვანიატკა გულის შემზარავად აყვირდა და ბაჭიას მიეჭრა, თანაც ხელების ქნევით უქშევდა და აშინებდა ძერას.

ფრინველი უკმაყოფილოდ დაეხსნა მსხვერპლს და განივრად გაშალა ფრთები. დიდი მოკაუჭებული ნისკარტიც გააქან-გამოაქანა, მერე კი მაინც, ბანჯგვლიანი თათებისმაგვარი ფეხების შეუკეცავად გაფრინდა.

საცოდავი მოკუნტული ბაჭია სულ ერთი ბეწო გამხდარიყო. უძრავად და მორჩილად გაქვავებულს ყურები მხრებზე გადაეწყო და გამოკარკლული დიდი მრგვალი თვალით იხედებოდა. მეორე თვალი ძერას ამოეკორტნა. თავიც დასისხლიანებოდა მტაცებელთან ბრძოლაში. ბალანი რბილი ჰქონდა — იგი ხომ ჩვილი ბაჭია იყო.

ვანიატკამ ხელში აიყვანა. კურდღელი ბიჭის მკერდთან ისე მოეწყო, თითქოს ბუდეში მოკალათდაო.

ვანიატკა დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა მოცუცქნულ კურდღელს.

— შე უბედურო, შე საწყალო! უჰ, ის წყეული, რა დღე დაუყენებია...

ბიჭმა კარა ხანს იარა, სანამ გაიმინდვრებდა. ახლა მდინარეც გამოჩნდა, ლიანდაგზე მატარებელი მიჩოჩავდა და თეთრ კვამლს აბოლქვებდა, ტაძრის ვარსკვლავიც უფრო კაშკაშებდა.

— დედიკო, დედიკო! — იღრიალა ვანიატკამ, როგორც კი ეზოში შევარდა. კანკალებდა, სახეზე ალმური ასდიოდა. — შეხე, რა დავიჭირე! — სულ გადაავიწყდა, რომ უნდა ეცემათ. დედამ წუთით შეაჩერა ნაკელის ზელა, ამოთართხნილი ფეხები ერთმანეთს შეუსვა და ბიჭს დაუყვირა:

— სად ეთრეოდი, არ იტყვი? ვის ვუთხარი, ნიურკას მიხედე-მეთქი? დამაცა, მე შენ გასეირნებ, თუ ქალი ვყოფილვარ!..

ამ დროს ბიჭს გასისხლიანებული ბაჭია დაუნახა და ისევ დაუცაცხანა:

— ეს რაღა ოხრობაა?.. ძაღლებს რომ გადაჰყროდი, ხომ ერთიანად დაგფლეთდნენ შენცა და შენს კურდღელსაც!

ვანიატკა კანკალებდა და გულში იკრავდა ბაჭიას.

— დედიკო, ჩემო დედიკო!.. მე ამას, ისე, რა, ტახტის ქვეშ, ტახტის ქვეშ მოვათავსებ... — და ქოხისაკენ გასწია.

დედამ ისევ მიაძახა:

— საით მიათრევ მაგ უწმინდურს!.. აი, ნახავ, თუ მაგიანად არ გაგაგდო ქუჩაში!

ვანიატკა სულ დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. ბეღელს მიაშურა, იფიქრა, იქ მოვაწყობო ჩემს ავადმყოფს, მაგრამ როგორც კი კარს მიუახლოვდა, პატარა კურდღელმა ძალა მოიკრიფა, ზამბარასავით გაიჭიმა, ბიჭს თათები ატაკა მკერდში, ისკუპა და, სანამ ვანიატკა გონს მოეგებოდა, ბეღლის ქვეშ, ვირთხებისაგან გათხრილ ვიწრო ხვრელში გაუჩინარდა.

ბიჭი მუცლით დაეშვა მიწაზე, ლოყით თვალი ამოსრესა და ცხელ მტვერს დააწვა და დიდხანს იჭვრიტა სოროში, მაგრამ იქ სიცარიელისა და სიბნელის მეტი ვერაფერი დაინახა.

— ვანიატკა! — ისევ უყვირა დედამ, მიატოვა ნაკელის ზელა, ფეხის ფეხზე წმენდით ბიჭთან მივიდა და რამდენჯერმე წაჰკრა კინკრიხოში.

3

ღამით ჭექა-ქუხილი ატყდა — ტყუილად ხომ არ იყო, რომ ზედმეტად ცხელოდა დღისით და მერცხლებიც ძირა-ძირა დაფრინავდნენ. ვანიატკას ხატების ქვეშ, სკამლოგინზე ეძინა. საერთოდ, ბიჭმა მაგარი ძილი იცოდა და ადვილად არაფერი ესიზმრებოდა. დღეს კი ეზმანა, თითქოს ტრამალზე წითელი თვალი გადმოგდებაზე ჰკიდია... უცებ უპეებს შორის ბიჭს ვიღაცამ ჩაეხედა მკვეთრად ლურჯი და მჭრელი მზერით. მეორედაც ჩააცქერდა, და ისე გაუსაძლისად, რომ ვანიატკამ თვალი ჭყიტა.

დარაბების ჭუჭრუტანიდან დამაბრმავებელი მოლურჯო, თითქმის თეთრი სინათლე რამდენიმე წამს თრთოლვით იღვრებოდა, მერე კი ჩაქრა, ირგვლივ სიმყუდროვემ და უკუნეთმა დაისადგურეს. ვანიატკამ თვალები მოჭუტა, მაინც წამით შეეპარა ქუთუთოებში კაშკაშა სინათლე და ისევ ჩაქრა.

ბიჭი ზეზე წამოვარდა. ვერაფერს ხედავდა. შეშინდა— იმიტომ კი არა, რომ უცებ იფეთქებდა თვალისმომჭრელი, ქუთუთოებში გამტარი სინათლე, არამედ ასე რომ ხდებოდა სიჩუმით მოცულ მყუდროებაში. ჩაქროსბისას კი, ბნელში, ყრუ მდუმარება მეფობდა. ბიჭმა ვერ გაუძლო ამას და შიშნარევი ხმით დაიძახა:

— დედიკო-ო!

დედასა და ვანიატკას პატარა დაიკოს მუდამ ერთად ეძინათ. ბიჭი ჩამოცურდა ლოგინიდან და დედის საწოლისაკენ წავიდა, ხან მაგიდას წამოედო, ხან სკამს და მივიდა. ჭუჭრუტანებიდან კვლავ შემოდიოდა სინათლე. ბიჭმა ხელი მოაფათურა: დედა არ ჩანდა, ნიურკა კი ბალიშს ჩაკვროდა, ძილში წყნარად და მსუბუქად ქშუტუნებდა.

ისევ ახლად დაბნელდა და დაყრუვდა იქაურობა. ვანიატკა გასასვლელს მივარდა, ხელების ცეცებით შეეხო კარს, გააღო და ახლა კი ყველაფერი თვალნათლივ დაინახა: ცარიელი ეზო, შუა ეზოში გეჯა გდია, ღობესთან უმოძრაოდ, თეთრად ასვეტილა ჩინარი.

— დედა-ა! — შეჰყვირა ბიჭმა და ბაკისკენ გაიქცა, იფიქრა, დედა აქეთკენ წამოვიდოდა, კარებზე რომ რამე მიებჯინა და პირუტყვი არ გაბნეულიყო.

მხოლოდ მაშინ, როცა გარშემო ისევ აციალდა თვალისმომჭრელი სინათლე, ბიჭმა დაინახა, რომ ბაკის ნაცვლად მეზობლის ბაღის წნულღობეს მიდგომოდა. ირგვლივ ერთხელ კიდევ დაბნელდა. ვანიატკა ხელებგაწვდილი შემობრუნდა და ახლა მაინც ეგონა, ბაკისკენ მივდივარო; მაგრამ, როცა განათდა, დაინახა, რომ თავლაში ამოეყო თავი.

მუქარით აბუზღუნდა გრგვინვა და ჭექა. მძიმე წვეთებიც დაეცა მიწას. ტირილით ეხეთქებოდა ვანიატკა აქეთ-იქით. ხან ღობეს წააწყდებოდა, ხან გროვად დაყრილ ჩალასა და ნეხვს, თანაც დედას ეძახდა გამუდმებით. წვიმამ მოუხშირა. მეხისტეხა გაუგონარი ხმაურით ავსებდა არემარეს. წყლის უფერული მღვრიე ბადის სიმკრთალეში არაფერი ჩანდა. სასოწარკვეთილ ვანიატკას ერუანტელმა დაუარა და სადაც იდგა, იქვე ჩაცუცქდა. მას აღარ გაეგებოდა, სად იმყოფებოდა, მწარედ სლუკუნებდა და ცრემლებს სახეზე დადენილ წვიმასთან ერთად ყლაპავდა. გასაოცარი ჭახანით დაყრუებული სამყარო ზოგჯერ მიყრუვდებოდა, თითქოს სული მოითქვაო, და ისევ დაიგრიალებდა უამრავი ბორბლის გრუხუნ-რახრახით.

როდესაც წამით სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ისმოდა წვიმის ხმაური, და გულისმომწყვლელ შუალედებში ახლად იფეთქებდა უსასრულო მოლურჯო სინათლე, ძრწოლით რომ ირეკლებოდა ყოველმხრივ გამოქანებულ ნიაღვრებში.

— დედიკო-ო! დედა-ა! უ-უ-უ...

და უცებ ყური მიუგდო. მის გვერდით, ფეხებთან, რაღაც თუ ვიღაც უმწეოდ და უსუსურად წკმუტუნებდა. ვანიატკამ ხელი გაიშვირა და შეეხო გალუმპულ, ლაფში ამოსვრილ საბრალო ლეკვს. ის ფეხებზე ძლივს დგებოდა, ალბათ ვინმე უგულომ გარეთ გამოაგდო და უპატრონო არსება ჭიშკრის კუთხეში მიკუჭულიყო.

ბიჭს შიშისა და მარტოობის გრძნობა გამოუნელდა. აიყვანა ლეკვი და გულში ჩაიკრა. შეთბა თუ არა პატარა ცხოველი, ციცქნა დრუნჩით მკერდში დაუწყო ჩიჩქნა.

გამეჩხერებულმა ელვამ მთლიანად გაანათა ქოხის ღია კარი. ოთახში შეწუხებული დედა სკამლოგინზე დაატარებდა ხელებს.

— სად ხარ, ბიჭო?! ვანიატკა-ა!

ვანიატკა კი ფეხაკრეფით, დიდი სიფრთხილით უახლოვდებოდა თავის ლოგინს; მისგან წურწურით ჩამოწნადენი წყალი გუბეებს აყენებდა. ძალიან ეწადა, ეთქვა დედისათვის ნაპოვნ ლეკვზე, მაგრამ ვერ გაბედა. ... ისევ ჩუმად ყოფნა არჩია. ჩაიხუტა ლეკვი მაგრად და ტკბილად ჩაიძინა.

ძილში ესიზმრა, თითქოს იგივე ძერა დააცხრა და კორტნის, თანაც ფეხებსაც უტყლაშუნებს მწარედ. ბიჭი შეშინებული წამოვარდა: დედა წადგომოდა თავზე და მაგრადაც უჩაჩქუნებდა. გარეთ კი დღე დამდგარიყო.

— ეს რა წესი შემოიღე, რას დაწანწალებ? გითხარი, ნუ დაეთრევი-მეთქი, ყველაფერი გამიბინძურე, ესეც შენ, ესეც შენ!

მერე დასტაცა ხელი აწკმუვლებულ ლეკვს, ეზოში დააპროწიალა და ჭიშკრის გადაღმა, ოროვანდებში მოისროლა.

ვანიატკა ტირილ-ტირილით გამოუდგა დედას, და როგორც კი დედა გამობრუნდა, უკანვე წაიყვანა ლეკვი, ბეღელში გამოუძებნა ადგილი; ძველ კალათაში ჩალა ჩაუფინა და შიგ ჩააწვინა.

ამრიგად გაუჩნდა ვანიატკას საკუთარი მცირე მეურნეობა.

...კურდღელი დიდხანს არ გამოდიოდა სამალავიდან, მაგრამ რას იზამდა: თქმულა, შიმშილი ცუდი მეგობარიაო. ბოლოს მაინც გამოჰყო თავი სოროდან, წამოსწია წინ მოძრავი ნესტოები და აჩქარებულად დაყნოსა ჰაერი. დასახიჩრებული თვალი გაფუფხიანებოდა, უპეებში ჩამჯდარიყო და სადაც არის, მოუშუშდებოდა კიდეც, საღი კი — დიდი, მრგვალი და ცნობისმოყვარე — ფრთხილად იჭყიტებოდა.

ვანიატკა საჭმელს სოროსთან დებდა. მოჰქონდა პურის ნატეხები, ადრეული კომბოსტოს ქორფა ფოთლები, რძეც — პატარა ჯამით, ზოგჯერ მინდვრიდანაც მოუტანდა ბალახ-ბულახს; ბაჭია უარს არაფერზე ამბობდა, იგი უკვე შეჩვეოდა ბიჭის ხელს და თანდათან შინაურდებოდა.

მარტო ერთი რამ აწუხებდა ბაჭიას — ეზოს ძაღლები მოსვენებას არ აძლევდნენ. როგორც კი მამა უქმის წინადღით მინდვრიდან შინ დაბრუნდებოდა, ძაღლებიც თან მოჰყვებოდნენ ფორანს, მაშინვე გამხეცებული მივარდებოდნენ საწყალ ბაჭიას და ერთ ღრიანცელსა და წიოკობას ასტეხდნენ. პატარა კურდღელი შეიმალებოდა ხვრელში და გარეთ ცხვირსაც არ ჰყოფდა. ძაღლები კი ჯგლეთაში იყვნენ, მაგრამ ფუჭად — ბაჭიას მოხელთებას ვერა და ვერ ახერხებდნენ.

მამაც გამოთქვამდა უკმაყოფილებას, ერთი-ორჯერაც მისცხო ბიჭს — საქმე აკეთეო, ბაჭიას ნუ გადაჰყვიო. საქმე კი, კაცმა რომ თქვას, საკმაოდ მოინახებოდა ბიჭისათვის. როცა ცხენები თავლაში ებათ, სხვა საქონელთან ერთად დასარწყულებლად უნდა გაერეკა, ხბორები კი საძოვრად გორაზე გაელალა და ემწყემსა. მამა თუ უახლოეს სათიბში იქნებოდა, მისთვის პური უნდა წაეღო, ფეტვიც — ჯერის მოსახარშად, თუ არადა, შინ ნიურკას სჭირდებოდა მიხედვა. სამაგიეროდ, როცა კი თავისუფალ დროს გამოძებნიდა, მიირბენდა ბეღელთან და ერთობოდა თავის მეგობრებთან. ლეკვი და ბაჭია წამოიზარდნენ და წელიც გაუმაგრდათ. შეეჩვივნენ ერთურთსა და სასაცილოდ ანცობდნენ და ბღლარძუნობდნენ. მაგალითად, ლეკვი ჩაბღუჯავდა კურდღელს, წაეტანებოდა პირით ქეჩოში და მიათრევ-მოათრევდა. ბაჭიაც არ უდებდა ტოლს, — შეიმართებოდა უკანა ფეხებზე და, თითქოს დოლის ჯოხებიაო, დააყრიდა წინა თათებს ლეკვის დრუნჩს, ლეკვს კი ისევ დარჩენოდა, გაგორებულიყო და წკავწკავით მოეგერიებინა როგორმე ბაჭია. მათი შემხედვარე ვანიატკა სიცილისაგან ბეჟირდებოდა.

მხოლოდ დიდები აბეზრებდნენ თავს ვანიატკას: დასდევდნენ ბაჭიას, ძაღლებსაც კი უსევდნენ, მაგრამ კურდღელს თანდათანობით ქოფაკების შიში გაუქრა. გამოენთებოდნენ თუ არა, იგი წამსვე შეძვრებოდა თავის სოროში, თუ ეზოში რკალად შემოერტყმოდნენ, ფორანზე ახტომით ან წინკარში შევარდნით შველოდა თავს. ერთხელ ბზის კასრშიც კი ჩახტა: ძაღლები ღავღავით შემოესივნენ. ახტნენ, დახტნენ, მაგრამ რა! — ვერაფერი დააკლეს; მერე კი ვანიატკამ იხსნა ბაჭია.

ლეკვსა და ბაჭიას ერთად ეძინათ ძველ კალათში — მოკუნტულები ეკვროდნენ ერთმანეთს. დილით ადრე, კი, როცა მეწამული აისი ტირიფებს შეაწითლებდა, ორივენი მიადგებოდნენ იმ სარკმელს, სადაც ვანიატკას სკამლოგინი იყო გაშლილი, შედგებოდნენ უკანა თათებზე და იჭვრიტებოდნენ ფანჯარაში, ლეკვი წკმუტუნებდა, ბაჭია კი ისე დაურთავდა წინა ფეხებს სარკმელს, გეგონებოდა, მინები ჩამოიმსხვრევაო.

დედა თუ თვალს მოჰკრავდა, იცოცხლე, უჭირებდა წკეპლას და გადენიდა, და თუ ვერას შეიტყობდა, ვანიატკა გაუღებდა მეგობრებს ფანჯარას და ჩამოურიგებდა პურის ნატეხებს, საღამოდან მათთვის რომ ჰქონდა მომარაგებული.

4

ერთხელ ისეთი ამბავი დატრიალდა, რომ არამცთუ ყველა შეარიგა კურდღელსა და ლეკვს, არამედ საპატიო ყოფაშიც კი ჩააყენა ვანიატკას მეგობრები. ზაფხული ელიობას* გადასცილებოდა; პური უკვე მოემკათ და ახლა სალეწი მანქანების მზადებაში იყვნენ. ვანიატკას მამას წესრიგში მოჰყავდა კევრი, რომ უთენია წაელო ყანაში, კალოზე, და დროულად შესდგომოდა საქმიანობას.

ღამე უკუნი და ქარიანი გამოდგა, ძალუმი ქარი წვნდა და ჯიჯგნიდა ალვის ხეებს, ჰაერში აბზრიალებდა ატაცებულ ნამჯას და გამხმარი ლელის ღეროებს. ყველანი ძილს მისცემოდნენ. ძაღლებიც, მორჩნენ თუ არა ყეფას, ფორანთან მიეყარნენ და თვლემდნენ, კურდღელი და ლეკვი კი ბელლის ქვეშ მიკუნცხულიყვნენ.

გაჭრიალდა ლატანის ჭიშკარი და ქუჩიდან ეზოში დიდი სიფრთხილით მალულად შემოვიდა სამი კაცი. ერთ-ერთ მათგანს ძალაყინი ეკავა ხელში. ძაღლები ყეფით წამოცვივდნენ, მაგრამ მყისვე დადუმდნენ. მათ მოწამლული ქონის ნაჭრები გადაუყარეს, როგორც კი ჩაყლაპეს, მაშინვე კრუნჩხვით გაჭიმეს ფეხები:

ქურდები თავლას მიადგნენ და საკეტის მტვრევა დაიწყეს. ამ დროს ბელლის ხვრელიდან ლეკვი გამოძვრა და წკავწკავით შეუტია მათ. იმან, რომელსაც ძალაყინი უკავა, მოუქნია ლეკვს, მაგრამ, ბნელში ააცდინა და მხოლოდ ოდნავ წაკრა. ძაღლი აწკმუტუნდა და ვანიატკას ფანჯარას მიეჭრა, შეშინებული კურდღელიც მას დადევნებოდა. აქ ლეკვი ქანცის გაწყვეტამდე ყეფდა და აქეთ-იქით აწყდებოდა; კურდღელმაც, უკანა ფეხებზე შემდგარმა, თათები დასცხო მინას.

ხმაურზე მამას გამოეღვიძა; წაავლო თოფს ხელი და ეზოში გავიდა, ძაღლებსაც გადასძახა — ხმა არც ერთს არ გაუცია. ეს კი საეჭვოდ ეჩვენა და შესაშინებლად უმიზნოდ დასცალა თოფი. მერე უფროსი ვაჟი მოიხმო და ერთად დაათვალიერეს ეზო. დაინახეს დახოცილი ძაღლები, საჯინიბოს კარებზე კი ნაწვალები ბოქლომი შეამჩნიეს. ქურდები უკვალოდ გამქრალიყვნენ — ვერ მოესწროთ თავლის გატეხა.

ამის შემდეგ, გასაგებია, ლეკვიცა და კურდღელიც დიდ ბუდში ჩაცვივდნენ. ვანიატკას დედა ახლა თავად აჭმევდა მათ და პატივში ჰყავდა. „გაუშვი, გაიზარდოს, — უკვე მამაც ასე ამბობდა და ეფერებოდა ლეკვს, რომელიც მოთათუნე ხელს ხალისით ულოკავდა. — ფხიზელი დარაჯი დადგება. შეხე, რა შავდრუნჩიანია — ავი იქნება აუცილებლად".

სახელებიც კი შეარქვეს: ლეკვს — ჩხუბისთავა, კურდღელს — ცალთვალა. ცხოველები ისე შეეთვისნენ თავიანთ სახელებს, რომ დაძახებაზე უმალ გამორბოდნენ.

შემოდგომისთვის ჩხუბისთავა გამოიჯაგა, გაბანჯგვლიანდა, დრუნჩსა და თვალებთან გაბურძგნული ულვაშქილვაშიც წამოეზარდა, რაც მძვინვარე შესახედაობას მატებდა. ცალთვალასაც თანდათანობით უთეთრდებოდა ბალანი — ეს ზრდის ნიშანი იყო. ვანიატკას გაგიჟებით უყვარდა თავისი მეგობრები. არ იშორებდა მათ: სადაც კი წავიდოდა, მის წინ ბანჯგვლიანი ჩხუბისთავა მიძუნძულებდა; მათ უკან მიტუსტუსებდა, ხანაც ხტუნვა-ხტუნვით მისდევდა, ცალთვალაც. გააკეთებდა ორ-სამ ნახტომს, აიწურებოდა ბოძკინტივით, შეარხევდა ყურებს, მერე კი ისევ დაედევნებოდა. თუ საიდანმე ძაღლები გამოვარდებოდნენ, ცალთვალა ღობეს გადაახტებოდა და ბაღში მიიმალებოდა. აქ კი გინდა სდიე, გინდა არა, მაინც ვერ დაიჭერდი. ვანიატკა თავისი გზით მიდიოდა. როცა უკან მოიხედავდა, ცალთვალა ისევ მასთან გაჩნდებოდა; ახტებოდა, დახტებოდა, შეჩერდებოდა და ყურებს გაიბერტყავდა.

როგორც უკვე ითქვა, ვანიატკას სულს ერჩია ისინი. დაჯდებოდა მიწაზე და ორივეს ჩაიხუტებდა — ჩხუბისთავს ერთი მხრიდან, ცალთვალას — მეორედან. ისხდნენ ასე და ვანიატკა, როგორც ადამიანებს, უყვებოდა მათ ამ მთისას, იმ ბარისას. ამათ კი თითქოს ესმოდათ, — კურდღელი ყურებს არხევდა, ძაღლი დროდადრო აიწევდა და სახეს ულოკავდა ბიჭს. ამისათვის კი ვანიატკა მსუბუქად ჩაუქიმუნჯებდა. ყოველ გემრიელ ლუკმას უყოფდა მათ ბიჭი.

5

სექტემბერმა მოაწია. ვანიატკას ამხანაგები უკვე სკოლაში დადიოდნენ. მოსწყინდა ბიჭს და ერთხელ ეუბნება მამას:

— მამილო, მისმინე, გამიშვი სკოლაში, აბა აქ რას ვაკეთებ... ასე ტყუილად ვეგდო? ხომ გამიშვებ?

მამამ კეფა მოიქექა, ახედა მოლუშულ ცას, სადაც მძიმედ დაქროდნენ ყვავები, და ბიჭს უთხრა:

— დამაცა, შვილო, ადრეა შენთვის. აი, ეს ზამთარიც გავიდეს; წლის თავზე მიგაბარებ.

— გამიშვი, რა, მამიკო, გამიშვი... — ისევ დაჩემებით აჯუჯღუნდა ვანიატკა.

— ხმა გაიკმინდე, ვის ვეუბნები, მომავალ წელს-მეთქი!

თუმცა ბიჭმა იყუჩა, მგონი, თავისი რაღაც კი ჩაიფიქრა.

დადგა წვიმიანი დღეები. ცივი ქარი დაერია ხეებს — უკანასკნელ შემორჩენილ ფოთლებს აფენდა ძირს. ფანჯრებსაც წვიმა უშენდა და მინებზე ნაკადებად ჩამოდიოდა წყალი. ატალახებულ ქუჩებში გუბეები დგებოდა და მათ ზედაპირზე მომდგარი ბუშტულები ზედიზედ სკდებოდა; გაუკაცრიელდა მიდამო; მოწყენილობამ და სევდამ დაისადგურა. ცალთვალასა და ჩხუბისთავას საათობით ეძინათ ბუნაგში.

ვანიატკამ დრო იხელთა, ჩამოიღო თახჩიდან მამის ძველი ჩექმები და შიგ ფეხები წაჰყო. თავი და ზურგი წვიმისაგან რომ დაეფარა, კუთხით ტომარა მოიგდო და გზას გაუდგა.

სასწავლებლამდე სამი ვერსი იქნებოდა. გზაზე გაუვალი ტალახი იყო. ფორნის თვლები მორგვამდე ეფლობოდა და ცხენებს ძალიან უჭირდათ.

* ძველად: რელიგიური დღესასწაული, 20 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანიატკაც ჩაიძირა ლაფში: ჩექმების ამოთრევისას ფეხებიც ამოუცურდებოდა ხოლმე. მაშინ ბიჭი ასე მოიქცა: ჯერ ცალი ჩექმის ყელს ჩაფრინდა, გაიშვირა ფეხი და ნაბიჯი გადადგა, მერე მეორეს წაატანა ხელები და კიდევ გადადგა ნაბიჯი. და ასე, ჩექმების მონაცვლეობით და ფეხის რიგ-რიგობით გადადგმით, ნელ-ნელა მიიწევდა წინ.

გაიხვიოქა ვანიატკა. სულის მოსათქმელად შეჩერდა და უკან მოიხედა. ნაღვლიანად თავჩაკიდული, კუდამოძუებული მოჩანჩალებდა ჩხუბისთავა, მას კი ყურებამდე ტლაპოში ამოვლებული ცალთვალა მოჰყვებოდა.

ვანიატკა ხელის ქნევით დაემუქრა მათ:

— გამეცალეთ! თქვენი წაყვანა არ შეიძლება... უკანვე გასწით!

ჩხუბისთავამ მორჩილად, ლაქუცით იწყო კუდის ქიცინი; ცალთვალამ კი ყურების რხევას მოუხშირა.

ვანიატკამ მიწის გუნდები მიაყარა მათ, ისინი კი საწყლებივით დადგნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ მეგობრის ასეთი სიმკაცრის მიზეზს.

— გასწით შინ!.. — ისევ დაუცაცხანა ვანიატკამ.

ბოლოს, როგორც იყო, გაყარა და თვითონ კი ტლაპოიანი გზა განაგრძო.

ცერად წამოსული წვიმა სახეში სცემდა ბიჭს, წყალი საყელოსა და სახელოებში ჩასდიოდა. ვანიატკა აუტანლად გააწამა გზამ. როცა ფერდობს მიაღწია, სადაც ნიადაგი ხვინჭიანი იყო, მხოლოდ მაშინ გააბიჯა ცოტა იოლად.

შორიახლოს, ბაღის მიღმა, სკოლის თეთრი შენობაც გამოჩნდა. ვანიატკამ სასწავლებელთან მიახლოებისას ისევ მოიხედა უკან. ჩხუბისთავას თავი დაეღუნა და მოხერხებულად მოიპარებოდა, ცალთვალაც მას აკიდებოდა თავისი გრძელი ყურების რხევით.

გულმოსულმა ვანიატკამ ქვები და გოროხები წაუშინა. ბრაზმორევით ტუქსავდა. კუდამოძუებული ჩხუბისთავა, საცოდავად გალუმპული, ტალახში ტოპვით შინისკენ ეაბრუნდა. ცალთვალაც ძაღლს დაედევნა. უეცრად საიდანღაც წკავწკავით გამოტყვრა გოშია. შეშინებულმა კურდღელმა მაშინ კი მოჰკურცხლა.

წინკარში ვანიამ თავისი გოლიათური ჩექმებიც გაიხადა და სკოლის კარი შეაღო. აუწერელი ღრიანცელი, ხმაური და ყიჟინა იდგა — შესვენება ყოფილიყო.

ყმაწვილები გარს შემოერტყნენ ბიჭს.

— ჰეი, კურდღლის შამავ!

— ვანკა, სალამი!

ვანიატკა გასუსულიყო, იდგა და არ იცოდა, რა მოემოქმედნა. როცა ზარი დაირეკა და ყველანი კლასში შეცვივდნენ, ვანიაც ჩექმების თრევით მიპყვა სხვებს და მერხის კიდეზე ჩამოჯდა.

მასწავლებელიც შემოვიდა. ბავშვები ერთხმად ახმაურდნენ:

— ხამი ბიჭია ჩვენთან! ხამი!

მიუახლოვდა მასწავლებელი ვანიატკას და ეკითხება:

— შენ ვისი ხარ?

დაბნეული ვანიატკა წამოდგა და იატაკს დააშტერდა.

— რატომ ხმას არ იღებ? თუ, არ იცი, ვისი ხარ?

— დედიკოსი, — დაბღვერით გამოსცრა ვანიატკამ და იატაკს ისევ მიაცივდა თვალებით.

მოწაფეები ახლა უკვე თავშეუკავებლად ახარხარდნენ და ისევ იყვირეს:

— კურდღლის პატრონია!

— შჩერბაკოვია! მწითური შჩერბაკის შვილი.

მასწავლებელს ჩაეცინა.

— აქ რაზე მოხვედი?

— ანი-ბანი...

ისევ ერთბაშად წასკდათ სიცილი.

— რამდენი წლისა ხარ?

— ამ საშობაოდ მერვეში გადავდგები.

— რას გეტყვი, ბიჭუნა, იცი? შენ ჯერ პატარა ხარ, გაისად მოხვალ.

— ახლა ავღრიალდები, — ისევ ისე პირქუშად ჩაილაპარაკა ვანიატკამ.

მასწავლებელს გაეღიმა და ალერსიანად გადაუსვა ბიჭს თავზე ხელი.

— მაშ კარგი, დარჩი ჯერ ჩვენთან, მოისმინე, რასაც აქ ვილაპარაკებთ. მამაშენს მე თვითონ გავესაუბრები.

კლასში მეცადინეობა დაიწყო. ვანიატკა თუმცა შუბლსაც იჭმუხნიდა და დაძაბულადაც ისმენდა, მაინც ვერა გაეგო რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილი, სადაც არის, უნდა გამოსულიყო. უცებ ყველამ თავი ფანჯრისკენ მიაბრუნა; მასწავლებელს კი სიტყვა შეაწყდა. წვიმისაგან ჩამორეცხილ მინაში ორი დრუნჩი ჩანდა, ცნობისმოყვარეობით რომ იჭვრიტებოდნენ ოთახში. ერთი ბანჯგვლიანი იყო, მეორე — ყურგრძელი.

ბავშვებს სიცილი აუტყდათ.

— ეგ რა არის? — იკითხა მასწავლებელმა.

— ვანკას ძაღლი და კურდღელია.

— ცალთვალა!

— უკანა ფეხებზე დგებიან!

— ვანკამ გაწვრთნა!

მაშინ მასწავლებელმა წყრომით თქვა:

— ეს რასა ჰგავს. ასე არ შეიძლება!

ვანიატკა მწარედ აქვითინდა.

— მოვკლავ... ვაგდებდი, მაგრამ არ დამიჯერეს. ძაღლებს მივუსევ...

მასწავლებელმა ბიჭს დაწყნარება დაუწყო.

— დამშვიდდი, არაფერია. მხოლოდ მეორედ თან არ წამოიყვანო.

მერე მასწავლებელმა დარაჯი მოიხმო და რაღაც უთხრა. დარაჯმა, ჩექმების ბრახუნით, კარი ხმაურით გამოაღო.

ფანჯარაში მაშინვე გაჰქრნენ ბანჯგვლიანიცა და დიდყურაც.

ვანიატკა შინ რომ ბრუნდებოდა, გორაკზე ელოდებოდნენ მას მთლიანად ლაფში ამოთხვრილი ჩხუბისთავა და ცალთვალა. ჩხუბისთავა სიხარულისაგან წკმუოდა, ხტუნვით უნდოდა მიწვდომოდა ბიჭის სახეს და გაელოკა. ბოძწკინტივით შემართული ცალთვალა კი დაუზოგავად იბათქუნებდა თათებს პაწია მკერდში. ორივეს მიუალერსა ბიჭმა. ბედნიერმა და მხიარულმა, ჩექმის ყელს ჩაფრენილმა, სახლისკენ გაირეკა მეგობრები.

მარტიც დადგა. თოვლი სწრაფად დნებოდა, ხრამებში ნიაღვრები ახმაურდნენ. გადამფრენი ფრინველები სამხრეთის თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებოდნენ და ულრუბლო მზეც მხიარულად ბრწყინავდა.

ვანიატკა ყოველდღე სკოლაში დაიარებოდა, მაგრამ ჩხუბისთავა და ცალთვალა აღარ მიაცილებდნენ.

კურდღელს რაღაცნაირად უცნაურობა დასჩემდა. მოუსვენრობა და გაუგებარი შიში დაეტყო, ხშირ-ხშირად ცქვეტდა ყურებს, ახლოს არავის იკარებდა, და ერთხელაც სადღაც გაქრა.

დიდხანს ეძება ვანიატკამ, მაგრამ ამაოდ. ერთ დღეს კი, როცა ბიჭი გორაკზე ავიდა, გალხობილ თოვლში კურდღლის ნაკვალევი შეამჩნია — დიდ-დიდი ნახტომებით გაქცეულიყო ტრამალისაკენ. მეორედ, ზაფხულში დალანდა, თითქოს ნათიბზე ზორბა კურდღელი გარბოდა, წამით შეჩერდა, ჩაჯდა, ყურები დაარხია და ბალახებში გაელვებით გაუჩინარდა. ალბათ სხვა ცხოვრება გასჩენოდა მას...

ვანიატკა და მარტოდ დარჩენილი ჩხუბისთავაც თავთავიანთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ჩხუბისთავა ფხიზლად დარაჯობდა ეზოს, ცხენებსა და საქონელს; დღე და ღამეს ასწორებდა და სახლ-კარს კი არავის აკარებდა. უფრო გაიზარდა, უფრო გაბანჯგვლიანდა. ვანიატკაც მთელი ზაფხული შეუსვენებლივ საქმიანობდა როგორც შინ, ისე მინდვრად: წისქვილში საფქვავი მიჰქონდა, სადგურში პურს ეზიდებოდა, ზამთარში კი მაშის ოქის ბაგვებით სკოლისაკენ გარბოდა.

თარგმნა მიხეილ კაკაბაძემ

ძველი ყოფილა პიონერ-ჩელენჯვანელობა

პიონერთა IX საკავშირო შეკრების დელეგატი ნანი გუგავა თბილისის 85-ე სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე და დედაქალაქის პიონერთა საქალაქო შტაბის წევრია.

ნანი აქტიურობით გამოირჩეოდა საქართველოს პიონერთა XIII შეკრებაზე, ასევე — არტეკშიც, საკავშირო შეკრებაზე. ამ შეკრების მიერ პიონერებისადმი მიცემული „საშინაო დავალებების" შესრულებას იგი ჩამოსვლისთანავე შეუდგა.

შეკრებამ პიონერებს დაავალა, შეფობა აიღონ საბავშვო სახლზე. ნანის რაზმეულმა კოჯრის საბავშვო სახლზე აიღო შეფობა — გამოაცხადა ოპერაცია „პიონერული ზრუნვა საბავშვო სახლზე". ოპერაციაში 12-ვე რაზმი მონაწილეობს; ცნობებს ამის შესახებ დროდადრო „აქვეყნებს" პიონერთა ოთახში გამოკრული რაზმეულის „ახალი ამბების საგენტო"; ამოქმედდნენ ხელმარჯვენიც და უამრავი საჩუქარი მოიტანეს. მოცეკვავეებმა და მომღერლებმა კონცერტი მოამზადეს; ნინო და ეკა გელაშვილებმა საბავშვო სახლის აღსაზრდელებისათვის სათამაშო თოჯინები დაამზადეს. ზოგმა გოგონამ ნამცხვრები გამოაცხო, ტკბილეული მოიმარაგა. ასე შესრულდა შეკრების მიერ მიცემული ერთ-ერთი საშინაო დავალება.

მეორე დავალების შესრულებაში პიონერებს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის" მუშები და კომკავშირელები დაეხმარნენ. სკოლის შეფი ფაბრიკის ხელმძღვანელობამ ყურად იღო რაზმეულის საბჭოს თხოვნა — დაწესდა „პიონერული საათი საამქროში". ეს პროცესი ყველაზე სახალისოა, — ამბობს ლელა კვანტალიანი და გვიჩვენებს საშვს, სადაც აღნიშნულია პიონერის გვარი, სახელი, სკოლა, რაზმი, რაზმეული. ის და საკავშირო შეკრების დელეგატი ნანი გუგავა, მათი რაზმეულის სხვა პიონერები ამ ფაბრიკის № 1 საამქროში ბავშვის ფეხსაცმლებს ამზადებენ; ნანი ზონარს რომ შემოავლებს, ლელა წებოთი აწებებს, მაია აბრამიშვილი ლანჩას ამაგრებს და ასე გრძელდება მთელი ოპერაცია. თითოეულმა 27-27 მანეთი გამოიმუშავა. ამ თანხის ნახევარი ბავშვთა ფონდში სურთ გადარიცხონ, დანარჩენს კი რაზმეულის ანგარიშზე შეიტანენ შემნახველ სალაროში.

რაში გამოიყენებენ ამ ფულს? რაში და, მეორე წელია, 85-ე სკოლის პიონერებმა აგებისას. ამ უცნაური სამშენებლო მასალის რეცეპტურაში შევიდა იმ ორმოცგრამიანი მტვრის ნიმუში, რომელიც 14 წლის წინათ მთვარიდან ჩამოიტანა „აპოლონ-16"-ის ეკიპაჟმა.

„მთვარის ბეტონის" სიმტკიცე ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მიწიერისა.

კოსმოსური ცემენტი

აშშ-ში მიიღეს მასალა, რომელსაც, სპეციალისტთა ვარაუდით, შეუძლია ცემენტის როლი შეასრულოს მთვარეზე სხვადასხვა სახის შენობათა

საათი — თარჯიმანი

ფირმა „კასიომ" (იაპონია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული აქტივის კლუბი

პიკვინი

ბი თავიანთი პიონერული ორგანიზაციის ისტორიის ამსახველ მუზეუმს აწყობენ და აქ დასჭირდებათ; თანხის ნაწილი მოხმარდება პიონერულ ზეივანს და პიონერთა ოთახის კეთილმოწყობას. პიონერული სიმღერების ფირფიტების შესაძენადაც გამოადგებათ ფული.

საკავშირო შეკრების დელეგატის თაოსნობით რაზმეულში ერთი სიახლეც დაინერგა. შეიქმნა „ურთიერთდახმარების ჯაჭვი". თუ ადრე პიონერები თითო-ოროლა ოქტომბრელს შეფობდნენ და თანაც ზოგჯერ ფორმალურად, ახლა მთელ რაზმს ევალება კონკრეტული საქმეებით დაეხმაროს უმცროსებს. დიახ, რაზმისა და რაზმეულის საბჭოები მათ მხოლოდ შესრულებულ კონკრეტულ საქმეებს მოსთხოვენ, დაპირებებსა და ზოგად ნათქვამს არ დასჯერდებიან.

თავის მხრივ, პიონერული რაზმის ხელმძღვანელად მარტო მოსწავლე კომკავშირელი კი არ არის გამოყოფილი, მის უკან კლასის კომკავშირული ორგანიზაცია დგას და საქმეს მათაც ამ პრინციპით სთხოვენ.

საკავშირო შეკრებამ პიონერის უპირველეს მოვალეობად, უმთავრეს შრომად კარგი სწავლა ჩათვალა. არ არსებობს რაზმი, სადაც რომელიმე პიონერს რომელიმე საგანში დახმარება არ სჭირდებოდეს. ამიტომაც თითოეული რაზმის საბჭოსთან მოქმედებს სასწავლო (და არა სასწრაფო) დახმარების ეკიპაჟი. ისინი ეხმარებიან სწავლაში ჩამორჩენილებს. დევიზიც აქვთ: „არც ერთი პიონერი სწავლაში არ უნდა ჩამორჩეს". საქმე წინ მიიწევს. დღეს ამ რაზმეულს არც ერთი ოროსანი პიონერი არა ჰყავს. თუ ვინმეს გაუჭირდა, მათთვის დამატებით მეცადინეობებს მასწავლებლებიც ატარებენ. მაგრამ მთელი სიმძიმე პიონერებმა თავიანთ თავზე აიღეს. ასე და ამგვარად, თითოეული პუნქტის მიხედვით მისდევენ ისინი შეკრების გადაწყვეტილებას, ცდილობენ მის შესრულებას.

მათი პიონერთა ოთახიც საკავშირო შეკრების გამოძახილით სუნთქავს. გამოფენილია პიონერთა რესპუბლიკური და საკავშირო შეკრების ყველა მასალა. ამას დაემატა მაიას მიერ არტეკიდან ჩამოტანილი დოკუმენტები, საჩუქრები: უზბეკი გულნარას ნაჩუქარი ქუდი, უკრაინელი ლუდას მიერ გადმოცემული მინიატურული უკრაინული სახლი, ზუგდიდელი მამუკა წოწერიას გაკეთებული ქართული ურემი, აგრეთვე უამრავი თოჯინა, ხელმარჯვეთა ნახელავები, წიგნები, ალბომები.

კუთხეში „პატაკი — სამშობლოს, პატაკი — პარტიას" გამოფენილია დამხმარე მასალა, რომელიც პიონერებს შეკრების გადაწყვეტილების განხორციელებაში დაეხმარება.

„პიონერული კალენდარი" ნორჩ ლენინელებს ყველა ღირსსახსოვარ თარიღს შეახსენებს, აქვეა რჩევები, თუ როგორ უნდა აღინიშნოს პატარა კალენდრით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი თარიღები.

„პიონერები — XII ბუთწლედს": აქ 12 რაზმს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაზეა ლაპარაკი. ასეთი შეჯიბრება პიონერულ აქტივს გამარჯვებულების გამოვლენაში ეხმარება; ვინც თავს ისახელებს, იმას ექსკურსიით დააჯილდოებენ, სიგელებს გადასცემენ, რაზმეულის გაშლილ დროშასთან სურათს გადაუღებენ.

...ასეთი წარწერებიც მოგხვდებათ თვალში: „პიონერული შეკრების გამოძახილი და ჩვენი რაზმეული", „გარდაქმნისათვის უნდა იბრძოდეს თითოეული პიონერი, რგოლი, რაზმი, რაზმეული"; „შეკრების მასალებს იცნობ, მაგრამ კონკრეტულად რას აკეთებ?" ეს მოთხოვნები მიმართულია თითოეული პიონერისადმი, განსაკუთრებით — პიონერთა IX საკავშირო შეკრების დელეგატისადმი. აკი გადაწყვეტილებაშიც აღნიშნულია, რომ „გამოცდილების ყულაბა" პირველ რიგში შეკრების დელეგატს უნდა მოვკითხოთ. ნანი გუგავაც პასუხისმგებლობით ეკიდება ამ მოთხოვნას. საინტერესოა ერთიც: შეკრების მიერ დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, რაზმეულის საბჭოს წევრებისათვის შეუმუშავებიათ სამახსოვრო, სადაც წერია:

„გახსოვდეს, ის კი არ არის რაზმეულის საბჭოს წევრი, ვინც წინ მიდის, არამედ ის, ვინც კოლექტივს მიუძღვება!

იყავ პრინციპული, გაბედული, პატიოსანი, იხმარე მხოლოდ ნაცვალსახელი „ჩვენ!"

რაზმეულის ინტერესები პირადულზე მაღლა დააყენე!

უმალ გაჩნდი იქ, სადაც შენი დახმარებაა საჭირო!

უარი თქვი მავნე ჩვევებზე!

შეცდომების აღიარება სიმამაცეა, დამალვა კი — ლაჩრობა!

ისწავლე შენ, ასწავლე სხვას!

მოხვედი? — არ გაჩუმდე!

ლაპარაკობ? — იფიქრე!

თანახმა არა ხარ? — იკამათე!

აკრიტიკებ? — წინადადება წამოაყენე!"

...თბილისის 85-ე საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭონი გუგავას წინამძღოლობით, ჯერ კიდევ ძიებაშია, ფიქრსა და მუშაობას ეჩვევა. ფიქრობს ახლებურად, ცდილობს განახორციელოს შეკრების მიერ მოცემული საშინაო დავალებები, ამას მოითხოვს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა, რომელსაც არ უნდა ჩამორჩეს სკოლის პიონერთა ორგანიზაცია.

ნათელა ფაილოკე

სინდისიანი სიახლენი

ყველა გააკვირვა ახალი საათით, რომელიც თავის მთავარ ფუნქციასთან ერთად ოთხი ენის მცოდნე თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებს. საათში ჩასმული მიკროკომპიუტერის „მეხსიერება" იტევს ორას-ორას სიტყვას და 40-40 ყველაზე უფრო გავრცელებულ ფრაზას ოთხ ენაზე — ინგლისურზე, ფრანგულზე, ესპანურსა და იაპონურზე. საჭირო სიტყვა ან ფრაზა მინიატურულ დისპლეიზე ინთება ხოლმე.

კაჟის ბატარეა

ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს მინიატურული მზის ბატარეა კაჟის საფუძველზე. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალზე მაღალია: იგი იყენებს მზის სხივების ენერგიის 27,5%-ს (ადრინდელები მხოლოდ 20%-ს იყენებდნენ). ფიქრობენ, რომ ამ ბატარეების გამოყენება შეიძლება ახალი საცხოვრებელი რაიონების ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად.

ფოლადივით მაგარი

ალუმინის ნაკეთობა ძალზე მსუბუქია, მაგრამ ნაკლებად მტკიცეა. არადა, ალუმინზე მოთხოვნილება თანდათან მატულობს. ბოლო ხანს აღმოაჩინეს ამ ლითონის სიმტკიცის ამაღლების ხერხი: მას ჯერ 1000 გრადუსამდე ახურებენ, მერე კი სწრაფად აცივებენ 20°-ამდე. ასეთნაირად დამუშავებული ალუმინი სიმტკიცით ფოლადს არ ჩამოუვარდება. ახალი ტექნოლოგია უკვე გამოიყენება სსრკ-სა და აშშ-ში.

არჩილ
გეთანელი,
პროფესორი

მოგზაურობა მარსზე

დედამიწელებს ბევრჯერ გვიოცნებია, გავფრენილიყავით პლანეტა მარსზე, ბევრჯერ შეგვიხსენებია ერთმანეთისთვის ლამაზი ლეგენდა მარსზე მცხოვრებ გონიერ არსებათა შესახებ.

მარსის მასა შეესატყვისება დედამიწის მასის 10%-ს. ამის გამო მის ზედაპირზე არსებული სიმძიმის ძალა დედამიწის ზედაპირზე არსებული სიმძიმის ძალის 38%-ს უდრის. თუ ადამიანი დედამიწაზე იწონის 700 ნიუტონს, მარსზე მისი წონა 270 ნიუტონი იქნება.

მარსის კლიმატური პირობები თავისებურია. შუა ზაფხულში ეკვატორის მიდამოებში დღისით ტემპერატურა +10°C-ს აღწევს, ხოლო ღამით მინუს 100°C-მდე ეცემა. ტემპერატურის ასეთი ცვალებადობა ატმოსფეროს გაიშვიათებითა და დაბალი სინოტივით აიხსნება: ატმოსფერული წნევა პლანეტის ზედაპირზე 1 კილოპასკალია (ვერცხლისწყლის სვეტის 8 მილიმეტრის სიმაღლე), ე. ი. ისეთივე, როგორიც დედამიწის ზედაპირიდან 30 კილომეტრის სიმაღლეზე. ატმოსფეროს შემადგენლობაში ძირითადია ნახშირმჟავა აირი (დაახლოებით 95%). მარსს ჰყავს ორი თანამგზავრი — ფობოსი და დეიმოსი.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ავტომატური კოსმოსური სადგურების საშუალებით მარსის შესწავლას. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერებს. განსაკუთრებით საყურადღებოა მარსის ათვისების მეორე ეტაპი — საქმე ეხება მარსისკენ პილოტირებული პლანეტათშორისი კოსმოსური ხომალდის გამგზავრებას. თუ გვინდა, რომ სხვა პლანეტას მივაღწიოთ, პლანეტათშორისი ხომალდის მოძრაობის ტრაექტორია ისე უნდა გავიანგარიშოთ, რომ დედამიწის მიზიდულობის სფეროში მოხვედრისას ხომალდმა გააგრძელოს ფრენა საჭირო პლანეტასთან



შეხვედრის წერტილისაკენ. ეს ტრაექტორია განისაზღვრება, ერთი მხრივ, საწყისი სიჩქარის სიდიდითა და მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ — ციური სხეულების მიზიდულობის ძალებით.

პლანეტათშორისი გადაფრენის დროს ყველაზე მოკლე მარშრუტიც კი ენერგიის დიდ ხარჯს მოითხოვს. ამიტომ, ენერგეტიკული თვალსაზრისით, ყველაზე ხელსაყრელია ტრაექტორიები, რომლებიც პლანეტების ორბიტული ძრაობის მხარესაა მიმართული.

განვიხილოთ დედამიწიდან მარსისკენ გაფრენისა და მარსიდან დედამიწისკენ გამოფრენის ამოცანა.

დედამიწიდან აფრენილი ხომალდი მარსის ზედაპირზე 259 დღე-ღამის შემდეგ დაჯდება. თუ დედამიწაზე დასაბრუნებლად ხომალდი მაშინვე აფრინდება, ის 259 დღე-ღამის შემდეგ დაუახლოვდება დედამიწის ორბიტას, მაგრამ დედამიწას ვერ შეხვდება, რადგანაც იმ დროს ის ორბიტის სხვა ადგილას იქნება. იმისათვის, რომ მარსიდან გამოფრენისას ხომალდი დედამიწას შეხვდეს, მარსზე ის 450 დღე-ღამეს უნდა დაყოვნდეს. ამგვარად, ფრენა ორივე მიმართულებით 968 დღე-ღამეს გაგრძელდება.

ფრენის სიჩქარის მომატებით შესაძლებელია მოგზაურობის ხანგრძლიობის შემცირებაც. თუ ხომალდი დედამიწიდან მესამე კოსმოსური სიჩქარით (წამში 16,7 კილომეტრი) აფრინდება, ფრენის ტრაექტორია პარაბოლური იქნება. ასეთივე იქნება დაბრუნების ტრაექტორიაც. მაშინ მარსზე დაყოვნების ხანგრძლიობა 12 დღე-ღამემდე შემცირდება, მთელი მოგზაურობა 152 დღე-ღამეში დასრულდება.

პლანეტათშორისი მოგზაურობის ტრასის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ მეტეორთა ნაკადების განლაგება და მზის მდგომარეობა. პლანეტათშორისი გადაფრენები მეტეორთა ნაკადების არის გარეთ და „წყნარი მზის" პერიოდებში უნდა განხორციელდეს.

ნავარაუდევია, რომ მარსზე გასაფრენად შეიქმნება ბირთვულძრა-





ვიანი კოსმოსური ხომალდები. მიზანშეწონილია მარსისკენ ორი ხომალდის გამგზავრება: ერთი სათადარიგო იქნება, თანაც ავარიულ სიტუაციაში შეძლებს განსაცდელში მყოფი კოსმონავტების მიღებას.

ხომალდის კუდა ნაწილში პირველი ძრავა და მუშა სხეულის (თხევადი წყალბადი) მარაგია მოთავსებული. კუდა ნაწილს მისდევს საგრეგატო ნაკვეთური საჭირო მოწყობილობებით და კოსმონავტების საცხოვრებლად თუ სამუშაოდ განკუთვნილი სათავსით; შემდეგ ორანჟერეის ნაკვეთურია, ბოლოს კი საექსპედიციო აპარატი. ლითონის მკვიდრი ეკრანი ბირთვული ძრავის მუშაობისას წარმოქმნილი გამოსხივებისგან იცავს ეკიპაჟს.

ბირთვული სარაკეტო ძრავა ხომალდის გაშვებისათვის ჩაირთვება და ხომალდს აამოძრავებს. მესამე კოსმოსური სიჩქარის მიღწევისას ბირთვული ძრავა გამოირთვება და ერთხანს ხომალდი გამორთული ძრავათი იფრენს. ამის შემდეგ, დამუხრუჭების მიზნით, ძრავა ისევ ჩაირთვება და ხომალდი გავა მარსის გარშემო „ლოდინის ორბიტაზე“. ხომალდს გამოეყოფა საექსპედიციო აპარატი და მარსის ზედაპირზე დაჯდება. ეს აპარატი მარსზე ეკიპაჟის 12 დღე-ღამის განმავლობაში ყოფნისათვის არის სპეციალურად აღჭურვილი.

ამ დროს ხომალდში მყოფი კოსმონავტები ახორციელებენ კავშირს საექსპედიციო აპარატსა და დედამიწასთან, ასრულებენ საჭირო სარემონტო სამუშაოებს.

დავალების შესრულების შემდეგ საექსპედიციო აპარატი აფრინდება და ხომალდს შეუპირაპირდება. ამავე დროს, ჩაირთვება ბირთვული ძრავაც და ხომალდი დედამიწისკენ გამოფრინდება. შემდეგ ძრავა გამოირთვება და ხომალდი ერთხანს გამორთული ძრავით იფრენს. დედამიწასთან მიახლოებისას კი ძრავა დამუხრუჭებისთვის ჩაირთვება და ხომალდს დედამიწის გარშემო ორბიტაზე გაიყვანს. სწორედ აქ შედგება დედამიწიდან წამოსულ რაკეტოპლანთან შეხვედრა და შეპირაპირებაც. მარსის გრუნტის ნიმუშებით ეკიპაჟი რაკეტოპლანში გადავა და დედამიწაზე დაბრუნდება. ხომალდი კი ორბიტაზე დარჩება მანამ, სანამ იგი საჭირო არ გახდება შემდგომი მოგზაურობისათვის.

აღწერილი კოსმოსური მოგზაურობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ბირთვული სარაკეტო ძრავები, უზრუნველყოფილი იქნება რადიაციისაგან დაცვა, მოეწყობა სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა, გადაწყდება ეკიპაჟის წევრების ფსიქოლოგიური შეთავსებადობის პრობლემა. გარდა ამისა, კოსმოსურ სივრცეში ხანგრძლივი ფრენის დროს ეკიპაჟმა შესაძლებელია დასაშვებ ნორმაზე მეტი დასხივება მიიღოს. საქმე ისაა, რომ ატმოსფეროს საზღვრებს გარეთ გალაქტიკურ კოსმოსურ გამოსხივებასთან ერთად მოქმედებს მზის აფეთქების დროს წარმოქმნილი გამოსხივებაც. ე. ი. ადამიანი მარსისკენ გაემგზავრება მხოლოდ მას შემდეგ, რაც რადიაციული დაზიანების ალბათობას გამორიცხავს.

ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის დროს ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა ისე უნდა აეწყოს, რომ ყველაფერი, რაც ადამიანს მოიყოფა, შთაინთქას, შთანთქმული კი აღდგეს და განმეორებით იქნეს გამოყენებული შიმშილისა და წყურვილის დასაკმაყოფილებლად.

ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა სერიოზული გამოცდაა ეკიპაჟის წევრების ფსიქიკისათვის. ეკიპაჟის წევრებს შორის კი ფსიქოლოგიური შეთავსებადობა უნდა იყოს. ესეც რთული მეცნიერული პრობლემაა.





ნინო ლონდარიძე
მხატვარი
თეიმურ ფხიკიძე

როგორ ჩაეძინა შუქნიშანს



ზღაპარი

ფართო და ლამაზია გაზონებით დამშვენებული ჩემი ქუჩა. მის ორივე მხარეს ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულან მრავალსართულიანი სახლები. მეც სწორედ ერთ-ერთი მათგანის ბინადარი გახლავართ. მიუხედავად იმისა, რომ მაღალ სართულზე ვცხოვრობ, ჩემს ოთახებამდე მაინც აღწევს ქუჩის შემაწუხებელი ხმაური, რაც გამოწვეულია დილიდან საღამომდე მსუბუქი ავტომობილების, ტროლეიბუსებისა და ავტობუსების განუწყვეტელი მიმოსვლით. დაბეჯითებით ვერ გეტყვით, რა მდგომარეობაა სხვა ქუჩებში, მაგრამ ჩვენთან ქვეითად მოსიარულეთა რიცხვი ძალიან მცირეა. ხალხის უმეტესი ნაწილი მუდამ ტრანსპორტით დაიარება, განურჩევლად იმისა, შორს მიემგზავრებიან თუ ახლოს, აგვიანდებათ თუ არა! ამ ადამიანებმა თითქოს წესად შემოიღეს, რომ საჭირო ადგილთან ყოველთვის უთუოდ ტრანსპორტით მივიდნენ... სწორედ მათ გამო არის ასე გადატვირთული ჩემი ქუჩა! ამდენი ტრანსპორტის მიმოსვლისაგან საბრალოს ისეთი ოხშივარი ასდის ხოლმე, ზევიდან რომ გადახედოთ, გეგონებათ, იწვისო!.. და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასე მეორდება მუდამდღე! ერთი სიტყვით, ტრანსპორტის გამო ჩემს ქუჩას დიდი ჯაფა ადგას და, ალბათ, საბრალო ამდენს ვერც გაუძლებდა, ერთი პატარა ფერადთვალება შუქნიშანი რომ არა! იგი, რომ იტყვიან, ჩემი ქუჩის ნამდვილი სულის ჩამდგმელია... მთელი დღის განმავლობაში შუქნიშანიც დაუღალავ ჯაფაშია და ქუჩას ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგებასა და განტვირთვაში ეხმარება!.. აი როგორ ხდება ეს: შუქნიშანს სამი სხვადასხვა ფერის თვალი აქვს: ყვითელი, წითელი და მწვანე. როცა ის წითელი თვალით იცქირება, ამ დროს ქუჩაში ტრანსპორტის მოძრაობა წყდება და თეთრზოლიან გადასასვლელზე ფეხით მოსიარულენი თავისუფლად გადადიან ერთი მხრიდან მეორეზე. ქუჩა ამ დროს თითქოს სულს ითქვამსო, რადგან ცოტა ხნით მაინც სიჩუმე ჩამოვარდება ხოლმე ირგვლივ...

ყვითელი ანთებული თვალი კი აფრთხილებს მძღოლებს, მოემზადეთ, გზა მალე განთავისუფლდება და მწვანე ფერზე თქვენ გაგატარებთო. მართლაც, გაახელს შუქნიშანი თავის ბრიალა მწვანე თვალს და ამჯერად ავტომობილები მიარღვევენ ქუჩას. ამის შემდეგ კი ისევ წითელ თვალს გაახელს და... ასე უსასრულოდ, მთელი დღის განმავლობაში...

მხოლოდ გვიან ღამით, როცა მოძრაობა მთელ ქალაქში წყდება, ითიშება შუქნიშანი და, დაღლილი და ნაჯაფარი, ქუჩასთან ერთად ისვენებს, მომავალი დღისთვის ძალას იკრებს.

მაგრამ ერთ ღამეს უყურადღებო ადამიანებს დაავიწყდათ შუქნიშნის გამორთვა, იმანაც იფიქრა, ალბათ ასეა საჭიროო და მთელი ღამე ცარიელ ქუჩაში ტყუილუბრალოდ აბრიალებდა თავის ფერად თვალებს. გათენდა დილა. ქუჩა ისევ ახმაურდა და ვიშვიშით შეუდგა თავის ერთგულ შუქნიშანთან ერთად შრომას. შუქნიშანიც მთელი მოწადინებით ირჯებოდა, უძილობა არ შემეტყოსო, და ფართოდ აჭყეტდა თვალებს. ასეთ ყოფაში მთელი დღე გაძლო, მაგრამ როცა საღამომ მოატანა — ქუჩისათვის ყველაზე დაძაბულმა და ხმაურიანმა დრომ, — ველარ მოერია თავს და... ტკბილი ფშვინვა ამოუშვა... დაძინებამდე წითელი თვალის აბრიალება კი მოასწრო და სამივე თვალი დახუჭა. ტრანსპორტის მოძრაობა გაჩერებული იყო და ადამიანებიც მშვიდად გადავიდნენ ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე და ახლა ტრანსპორტისა და მსუბუქი ავტომობილების მძღოლები მიაჩერდნენ შუქნიშანს, რათა მისი ყვითელი გამაფრთხილებელი თვალის გახელისთანავე მომზადებულიყვნენ და მწვანე ფერზე თავისი გზა გაეგრძელებინათ. მაგრამ შუქნიშანს სამივე თვალი დაეხუჭა და ღრმა ძილს მისცემოდა... აღარც წითელ თვალს ახელდა, აღარც ყვითელს და აღარც მწვანეს! რამდენიმე წუთს ელოდნენ, როდის გაახელდა შუქნიშანი თვალებს, ბოლოს, როცა ეს წუთები საუკუნედ მოეჩვენათ (ტრანსპორტით მოსიარულენი ხომ განსაკუთრებით სულსწრაფები არიან!), მოთმინებადაკარგულები ლანძღვა-მუქარით ავტომობილებიდან გადმოვიდნენ, მძინარე შუქნიშანს მუშტებს უღერებდნენ, ყვიროდნენ, მერე ერთი-ორმა ღიპიანმა მამაკაცმა ქვაც კი ესროლა.

— არა გრცხვენიათ!? ხალხი არა ხართ! რას სჩადიხართ! — აღშფოთ-

და ამის დანახვაზე იქვე შორიახლოს მდგარი ძველი ლამპიონი.

— აბა რა ვქნათ! ამის ლოდინში აქ ხომ არ დავალამებთ?! ზოგს სახლში მიგვეჩქარება და ზოგსაც მეგობრებთან!—თავი იმართლეს მძღოლებმა.

— მერედა, ვერ ხედავთ, რომ ჩაეძინა! რახანია ერთგულად გემსახურებათ და თქვენ კი ერთი ბეწო რამეზე ჩასაქოლადაც კი გაიმეტეთ! — თქვა ლამპიონმა.

მაგრამ მძღოლებმა მას ყური აღარ ათხოვეს და იქვე, თავის ჯიხურთან მდგომი მილიციელისაკენ გაქანდნენ. ზოგი შუქნიშნის დაუყოვნებლივ დასჯას მოითხოვდა და ზოგიც ყოველგვარი მწვანე სინათლის დაულოდებლად გატარების უფლებას!

გაკვირვებული მილიციელი ხან მძღოლებს მიაშტერდებოდა, ხან ჩაძინებულ შუქნიშანს. ბოლოს თავისი ზოლიანი ჯოხი მაღლა ასწია, — გაჩერდითო! და ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა... მილიციელმა თავი მოიქექა: მე შუქნიშნის დასჯა არ შემიძლია, ვერც მწვანე შუქის აუნთებლად გაგატარებთ, რადგან კანონის დარღვევის უფლება არა მაქვსო.

— მაშ როგორ მოვიქცეთ, რა ვიღონოთ?! — უმწეოდ აიჩეჩეს მხრები მძღოლებმა და პირდაღებულები მილიციელს მიაჩერდნენ, რას გვირჩევსო. მილიციელი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ბოლოს მშვიდად წარმოთქვა: — დატოვეთ თქვენი მანქანები და ფეხით წადით, ვისაც სად მიგეჩქარებათო! მძღოლებსაც მეტი რა გზა ჰქონდათ! ყველა გადმოვიდა ავტომობილიდან და ფეხით გაუყვა ქუჩას. მათთან ერთად ტროლეიბუსებისა და ავტობუსების მძღოლებმაც მიატოვეს საჭე და მგზავრებს გამოუცხადეს, ფეხით მოგიწევთ წასვლაო. და აი, სულ ორიოდე წამში ზღვა ხალხი მოეფინა ქუჩას. მაგრამ ადამიანებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და საკუთარ ავტომობილებში იყვნენ გამომწყვდეულნი, ორიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდათ გადადგმული, რომ უეცრად რაღაც საოცარი სურნელი იგრძნეს. ყველა მათგანმა ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი. მიხვდნენ, რომ ირგვლივ რაღაც ხდებოდა, მაგრამ თავდაპირველად ვერ გაარკვიეს, რა! მერე ერთმა ჰაერში მოფარფატე თოვლის ფიფქის მსგავსი მცენარე შენიშნა, მაღლა აიხედა და... თურმე ჭადარი ყვაოდა მთელი ქუჩის გასწვრივ! მეორემ იქვე შორიახლოს ნუშის ხეს მოჰკრა თვალი, თეთრი ყვავილებით მორთულ-მოკაზმულს. მესამემ ხის ძირას ჩამომჯდარი მოხუცი კაცი დაინახა, დიდი კალათი ყოჩივარდებით რომ ჰქონდა სავსე. იქვე შორიახლოს მოხუც ქალს [illegible] ლებით სავსე კალათა [illegible] გამვლელებს ყვავილს სთავაზობდა. მერე საიდანღაც ნელი ნაბიჯით მოსეირნე წყვილი გამოჩნდა. გოგონას ხელში ნუშის ხის ტოტი ეჭირა. ტრანსპორტიდან ჩამოსულმა ადამიანებმა უფრო დაკვირვებით და გაფაციცებით მიმოიხედეს და... უეცრად ყველაფერი ნათელი გახდა: თურმე გაზაფხული მოსულიყო! მათ კი ეს ამბავი მხოლოდ ახლა შენიშნეს, რადგან მუდამ სადღაც ეჩქარებოდათ და აბა ტრანსპორტში ხომ

საბჭოთა ნორჩი გმირები

ვალენტინ კოტიკი

უკრაინის სსრ ხმელნიცკის ოლქის სოფელი შეპეტოვკა ჭეშმარიტად გმირების აკვანია. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ სწორედ აქაური იყო სამოქალაქო ომის გმირი, ცნობილი მწერალი და მგზნებარე კომუნისტი ნიკოლოზ ოსტროვსკი.

როცა პატარა ვალენტინ კოტიკი 1938 წლის სექტემბერში პირველად მიუჯდა სკოლის მერხს, მან უკვე იცოდა, ვისი თანამემამულეც იყო, და შესაფური გულმოდგინებით შეუდგა სწავლას, იყო სამაგალითო ოქტომბრელი, მერე კი — ასევე მისაბაძი პიონერი. ამიტომაც არავის გაკვირვებია, როცა, მე-3 კლასის დამთავრების შემდეგ, ქების სიგელითა და ნ. ოსტროვსკის წიგნით— „როგორ იწრთობოდა ფოლადი" დააჯილდოეს.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ვალია, ის იყო, მე-4 კლასში გადავიდა. ამ დროს მას, სხვა წიგნებთან ერთად, ნ. ოსტროვსკის წიგნიც ჰქონდა წაკითხული და პავკა კორჩაგინისაგან სწავლობდა სამშობლოს სიყვარულს, მშრომელი კაცის ერთგულებას, მეგობრობას, პრინციპულობას, სიმამაცეს, ამტანობას. მას, ამავე დროს, კარგად ახსოვდა პიონერული ფიცი, ამიტომ იყო, რომ დაიკავეს თუ არა ფაშისტებმა შეპეტოვკა, ვალენტინ კოტიკმა უყოყმანოდ მიაშურა პარტიზანებს და მათი „თვალი და ყური" — მზვერავი გახდა.

ვალია მალე გაიწაფა და დადგა დრო, როცა ფრიად საპასუხისმგებლო დავალება მიიღო — უნდა დაეზუსტებინა, როდის გაივლიდა შეპეტოვკიდან მომავალ გზაზე ფაშისტი ჯალათი, ჟანდარმერიის უფროსი კენიგი. ვალიამ და მისმა ამხანაგებმა ყველაფერი დააზუსტეს, მაგრამ რაზმისათვის ამბის გადაცემა ველარ მოასწრეს, დრო აღარ ეყოთ. ვალიას წინადადებით, ბიჭები გზის პირას ჩასაფრდნენ, ბუჩქებში, შემაღლებულ ადგილას. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ გამოჩნდა ობერლეიტენანტ კენიგის მსუბუქი ავტომანქანა, მას უკან ჯარისკაცებით სავსე ორი სატვირთო მანქანა მოჰყვებოდა. ბიჭებმა მოახლოება აცალეს, მერე კი ზედიზედ სტყორცნეს ხელყუმბარები. მსუბუქი მანქანა თავისი მგზავრებითურთ აფეთქდა, სასიკვდილოდ დაიჭრნენ დამცველი ფაშისტები.

ბევრი მამაცური საქციელი ჩაიდინა ვალენტინ კოტიკმა, უამრავი ძვირფასი ცნობა მოუპოვა პარტიზანულ რაზმს, მონაწილეობდა დივერსიებში, ხელჩართულ ბრძოლებში, არღვევდა მტრის სატელეფონო კავშირს. ერთხელ, გახურებულ ბრძოლაში, დაიჭრა კიდეც, მაგრამ გამოჯანსაღებისთანავე მწყობრს დაუბრუნდა.

როცა საბჭოთა ჯარები შეპეტოვკას მიადგნენ, მტერს ზურგიდან პარტიზანებმაც შეუტიეს. მათ შორის ვალიაც იყო. იგი მშობლიური ქალაქის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

საბჭოთა კავშირის გმირი ვალენტინ კოტიკი იმ სკოლის ეზოში დაკრძალეს, თვითონვე რომ სწავლობდა. მის საფლავზე, სადაც მუდამ ჰყვავიან ცოცხალი ყვავილები, ავტომატმომარჯვებული ბიჭუნას ძეგლი დგას. ვალია კოტიკის მერხთან მხოლოდ წარჩინებული მოსწავლეები სხედან. ბევრ სკოლასა და პიონერულ რაზმეულს აქვს მინიჭებული ნორჩი გმირის სახელი.

ვერ იგრძნობდნენ გაზაფხულის სურნელს!? მერე ზოგმა მოხუცი ქალისაგან ენძელა იყიდა, დედას მივულოცავ გაზაფხულსო... ზოგმაც მოხუც კაცს ყოჩივარდები გამოართვა, რომ შვილისა და მეუღლისათვის მიელოცა გაზაფხულის დადგომა. ერთმა ბიჭმა კი ნუშის ხეს პატარა აყვავებული რტო შეატეხა, უყნოსა და მეგობარი გოგონასკენ გაეშურა. მოკლედ, გავიდა სულ რამდენიმე წუთი და ჩვენი ქუჩის ყველა საყვავილე დაცარიელდა. ამ ზღვა ხალხში ერთ ადამიანსაც კი ვერ ნახავდით უყვავილოდ! ამ დროს ზევიდან რომ შეგევლოთ თვალი ჩემი ქუჩისათვის, იფიქრებდით, ადამიანებს გაზაფხულის აღსანიშნავად ზეიმი მოუწყვიათო.

თუმცა მხოლოდ ამით არ დასრულებულა ეს ამბავი... როგორც მოგვიანებით გავიგე, თურმე ჩვენს ქუჩაზე გაჩერებული ავტომობილებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამო მოძრაობა სხვაგანაც შეფერხებულა და სულ მალე ყველგან გადაკეტილა გზები. მერე... მერე სხვა ქუჩებზეც იგივე ამბავი დატრიალებულა, რაც ჩვენთან, და მთელ ქალაქში ყვავილებში ჩაძირული ხალხი ნიაღვარივით წამოვიდა!

ამ ორომტრიალში, როგორც იქნა, ჩვენი ქუჩის შუქნიშანსაც გამოეღვიძა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა ირგვლივ, ეგონა, კვლავ ეძინა და სიზმარში ყვავილების ზღვას ხედავდა...

— ღმერთო ჩემო! რა ზღაპრული სანახაობაა, მართლაც მხოლოდ სიზმარში თუ ნახავ ასეთ საუცხოო რამესო, — გაიფიქრა შუქნიშანმა, შემდეგ თვალები დახუჭა და კვლავ ტკბილი ფშვინვა ამოუშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲘᲡᲘ

ᲜᲝᲠᲩ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 1

ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲘ

სიცივეა... ქარი ქრის.

მე კი არხეინად მივდივარ ქუჩაში და არაფრის დარდი არა მაქვს (არ ვიცი, რატომ).

ფოთლები ნაღვლიანად ცვივიან მიწაზე. ზოგი მათგანი წითელია, ზოგიც — ყვითელი, ნარინჯისფერი.

ხეები შიშვლდებიან, ნელ-ნელა იხდიან სამოსს და სირცხვილისაგან გაბრუებულნი უაზროდ დგანან.

ჩემს გვერდით მომავალი ხნიერი ქალი ფრთხილად დასწვდა ერთ ნარინჯისფერ ფოთოლს. ხელისგულზე დაიფინა და მიეფერა, როგორც პაწიას ეფერებიან ხოლმე. მერე ასევე ფრთხილად გაუშვა და ლოცვა გაატანა...

ის ქალი შენ ჩამოგგავდა, ფოთოლო: ალბათ, ისიც მარტოა და... ეშინია.

დარდი მეწვია, სულში შემოიჭრა (და უკვე ვიცი, რატომ)... ნარინჯისფერო ფოთლებო, რით გიშველოთ?

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲡᲐᲜᲐᲫᲔ,
ლანჩხუთი, მე-2 საშუალო
სკოლა, X კლასი.

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

არემარე კიდით კიდე
დაუფარავს თოვლის საბანს,
ყივყივებენ ბელურები,
დაეძებენ თავშესაფარს.
ქარი სარკმელს ერჩოლება,
შემოიჭრას ლამის სახლში,
ისე ყინავს, ნაგაზიც არ
გაიგდება ახლა კარში.

ᲓᲘᲚᲐ

ლაჟვარდ ციდან თითქოს დალმა
ჩამოშალა თმა-დალალი,
მთის მწვერვალზე აელვარდა
მზის მხურვალე ნაღვერდალი,
აჭიკჭიკდა ჩიტი მალი,
ყვავილებზე შეშრა ნამი,
წუხანდელი ბნელი ღამის
აღარა ჩანს ნატერფალიც.

ᲥᲔᲗᲘᲜᲝ ᲒᲔᲠᲔᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ქუთაისი, მე-17 საშუალო
სკოლა, VII კლასი.

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

დილა სინჯავდა ფერებს,
სითბო კი ბალახს ქსოვდა,
ქარი არ იყო მაშინ —
მხოლოდ ეს დამახსომდა.
თუნდ შეფერადდეს მერეც
ამ შემოდგომის სევდა, —
მაშინ ნაღვლიან ფერებს
სველი ბალახი რევდა.

ᲜᲘᲜᲝ ᲤᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თელავი, კისისხევის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

ᲔᲠᲗᲘ ᲚᲠᲣᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔ

წვიმიანი დღე იყო. ცა მოქუფრულიყო. შავი ღრუბლები ძლივს მიღოღავდნენ. ცისფერი თანდათან იკარგებოდა.

წვიმის წვეთები გაცრეცილ ფოთლებზე ეკიდებოდნენ, თითქოს ზედ დარჩენა სურთო, მერე კი [illegible] წკუპით ეშვებოდნენ მიწაზე და გუბეებს აყენებდნენ. შემდეგ სხვანი ცვიოდნენ. ზოგი წვიმისაგან გაკეთებულ გუბეში ვარდებოდა და რგოლებად იშლებოდა.

წვიმამ თანდათან იკლო, ბოლოს სულ შეწყდა. მაგრამ ახლა ქარი ამოვარდა, ქშუოდა, გრიალებდა, ისედაც გაშიშვლებულ ხეებს უკანასკნელ ფოთლებს აცლიდა და ამ სანახაობით დამტკბარი გიჟურად ხარხარებდა.

ხან სულ მიწყნარდებოდა, ძალას მოიკრებდა და ახლა მგზავრებს ესხმოდა თავს. გარშემო უვლიდა და ცხვირ-პირს უწითლებდა სიცივისაგან.

მოსაღამოვდა. ყველაფერი დაწყნარდა. ქარმაც ერთი ამოიგმინა და დაღლილი იქაურობას გაეცალა. დაღამდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ლურჯი ცა ვარსკვლავებით დაიჭორფლა.

ცოტა ხანში ვერცხლისფერმა მთვარემ თავი ამოჰყო. ნამძინარევი თვალები გაახილა. რომ ნახა, ჩემი დრო მოვიდაო, გაბედულად აიწია ზევით.

ქუჩას გადავხედე. ძალიან ბნელი მეჩვენა. უცებ ქუჩის ფარანი აინთო და ბნელი ჩრდილები ხეებქვეშ შერეკა.

ᲜᲘᲜᲝ ᲝᲠᲛᲝᲪᲐᲫᲔ,
ლანჩხუთი, მე-3 საშუალო
სკოლა, X კლასი.

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲑᲘᲑᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, 12 ᲬᲚᲘᲡ, ᲤᲝᲗᲘ.

კრევეტები ონკანიდან

წარმოიდგინეთ რანგუნელ (ბირმის დედაქალაქი) დიასახლისთა გაოცება, როცა ონკანიდან წყალს კრევეტებიც გადმოჰყვნენ. მიზეზი მალე გაირკვა: ახალი წლის დღეები იყო; ამ დღესასწაულის დროს მოქალაქენი წყლით წუწავენ ერთმანეთს. ბუნებრივია, ქალაქში წყლის ხარჯმა სწრაფად იმატა. წყალმომარაგების სისტემა სრული დატვირთვით მუშაობდა და მოხდა ისე, რომ მძლავრმა ტუმბოებმა წყალთან ერთად ზოგიერთ წყალსატევში მობინადრე კრევეტებიც ამოქაჩეს.

აუჩქარებლად

წარმოუდგენლად ნელა მუშაობს იტალიური ფოსტა. ეს დაადასტურა ამას წინათ რომში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა. საფოსტო ყუთებში ჩაუშვეს მილანში გასაგზავნი 400 წერილი. ერთი ქალაქიდან მეორეში წერილების მისვლას ექვსიდან 16 დღემდე დასჭირდა.

იულიუს კეისრის ლეგიონერები სულ ცოტათი თუ ჩამორჩებოდნენ სისწრაფეში თანამედროვე ფოსტას.

შიმპანზე და „ასპილინი"

ტანზანიის ეროვნულ პარკში მობინადრე მაიმუნებს თვეში ორ-სამჯერ უცნაური რამ ემართებოდათ: ისინი უარს ამბობდნენ გემრიელ საკვებზე და ჯგროდ მიემართებოდნენ პარკის შორეული კუთხისაკენ. იქ დაბალი ბუჩქის — ასპილიის ირგვლივ სხდებოდნენ, და იწყებოდა უჩვეულო „ქეიფი". ყოველი შიმპანზე წყვეტდა ფოთოლს, გულდასმით ღეჭავდა 2-3 წუთის განმავლობაში და ყლაპავდა. შემდეგ ისევ თავიდან იწყებდა ყველაფერს. კანადელი და ტანზანიელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა ფოთლის ქიმიურმა ანალიზმა გაარკვია, რომ თურმე მცენარე ასპილია უცნობ ანტიბიოტიკს შეიცავს. მაშასადამე, მაიმუნები ტყუილად როდი მიირთმევენ ამ ფოთლებს: ანტიბიოტიკი პირის ღრუში სპობს ბაქტერიებსა და სოკოვანას და კუჭში მოხვედრის შემდეგაც აგრძელებს სამკურნალო მოქმედებას.

ფარმაცევტები ფიქრობენ, აითვისონ ახალი ანტიბიოტიკი, რომელსაც პირობითად „ასპილინი" უწოდეს. თუმცა, ამ მცენარის თვისებების შესწავლა ადრეეც შეიძლებოდა, რადგან, როგორც გამოირკვა, აფრიკელი ტომები კარგა ხანია ხმარობენ ასპილიის ფოთლებს ჭრილობებისა და კუჭის დაავადებათა სამკურნალოდ.

ბეწვიანი გველი

ჩრდილოეთი მექსიკის უდაბნოში ბევრი უნიკალური ქვეწარმავალი ცხოვრობს. ერთი მათგანია გველი, რომლის ტყავიც... მატყლითაა დაფარული. წლის დროსთან დაკავშირებით მატყლის ფერი იცვლება — იგი ხან მოყვითალო-მოწითალოა, ხან — ყავისფერი. ეს უცნაური გველი სავსებით უწყინარია, მასთან ბავშვები ისევე თამაშობენ, როგორც ძაღლებთან და კატებთან.

თოჯინა თუ ცოცხალი ადამიანი?

იაპონელი მძღოლების უმეტესობა, პოლიციელის დანახვაზე სწრაფად უკლებს სიჩქარეს. ბევრი მათგანი ვერც ხვდება, რომ მათ წინაშე პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი თოჯინაა. მაგრამ ისინიც კი, ვინც იცის, გზებზე მანეკენები რომ დგანან, მაინც ფრთხილობენ: ვაითუ თოჯინა არ გამოდგეს და ცოცხალი პოლიციელი შერჩეთ ხელში.

ექსპერიმენტი ძალზე ეფექტური გამოდგა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვმა საგრძნობლად იკლო.

გიგანტური თევზი

ამ სურათზე აღბეჭდილია თევზი, რომლის სიგრძეც 2,5 მეტრია, ხოლო წონა — 168 კგ. იგი ალიასკის მცხოვრებმა, სპინნ-



გით თევზის ჭერის ყოველწლიური შეჯიბრებების ერთ-ერთმა მონაწილემ რი ბოულდმა დაიჭირა.

თავაზიანი პასუხი

ერთმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა თავისი ოპერის პრემიერაზე ჯოაკინო როსინი მიიწვია. მივიდა როსინი და, იტალიური ჩვეულების მიხედვით, ლოჟაში ციღინდრიანი დაჯდა. ოპერის მსვლელობისას, ყოველი არიის შემდეგ, იგი ცილინდრს იხდიდა და იქნევდა.

— რას შვრებით? — ჰკითხა მახლობლად მჯდომმა ოპერის ავტორმა.

— მივესალმები ჩემს კოლეგებს, რომლებსაც თქვენს მუსიკაში ვხვდები, — თავაზიანად მიუგო როსინიმ.

ძმისწულის მიზეზით

გამოჩენილი ფრანგი პოეტისა და კომპოზიტორის, „მარსელიეზის" ტექსტისა და მუსიკის ავტორის რუჟე დე ლილის ძმა, რომელსაც დიდხანს გენერლის პოსტი ეკავა, მოულოდნელად სამსახურიდან გადადგა. ცნობისმოყვარეთა შეკითხვებზე, თუ რა იყო მისი გადადგომის მიზეზი, მან უპასუხა. ძმისწულის ბრალიაო.

— განა თქვენ ძმისწული გყავთ?

— რა თქმა უნდა, ჩემი ძმა ხომ „მარსელიეზის" მამაა!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

მხატვარი ავთანდილ გოჩაშვილი

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზები... ცაში?

საკმაოდ ხშირია ფრინველთა და თვითმფრინავთა შეჯახების შემთხვევები. ამას წინათ კი ამერიკის კომპანიის თვითმფრინავს შეასკდა... თევზი.

ალიასკის საფრენი ბილიკიდან „ბოინგ-737“ აფრინდა. ამ დროს აეროდრომის თავზე უზარმაზარი არწივი მიჰქროდა. უეცრად მას ბრჭყალებიდან დაუსხლტა თევზი, რომელიც თვითმფრინავის საქარე შუშას დაენარცხა და დათხუპნა იგი. მფრინავები იძულებულნი გახდნენ, მიწაზე დაესვათ ლაინერი.

მყვირალების კონკურსი

იაპონელები მშვიდი, თავშეკავებული და აუღელვებელი ხასიათით არიან ცნობილნი. მაგრამ წელიწადში ერთხელ (ეს ხდება ახალი წლის წინადღით) მათ მოძალებული გრძნობების გამომჟღავნების საშუალება ეძლევათ. ამ პერიოდს ყვირილის სეზონს უწოდებენ. იაპონელებს არ ეკრძალებათ ყვირილი, ქუჩებში ბოძებისა და ნაგვის ყუთებისათვის ფეხის კვრა.

ტოკიოში ყვირილის კონკურსებიც კი იმართება, რომლებზეც ფასდება ყვირილის შინაარსი და სიძლიერე. ყვირილის თემა თავისუფალია, მაგრამ მონაწილეებს ხშირად საკონკურსო დავალებაც ეძლევათ, მაგალითად: „რამ გამაბრაზა წელს ყველაზე მეტად?“ წინა კონკურსში, რომლის თემა ჰალეის კომეტა იყო, გაიმარჯვა ერთმა სტუდენტმა, რომელმაც 100 დეციბელის ძალით დაიყვირა: „მომავალ შეხვედრამდე 70 წლის შემდეგ!“ ქალებში ყველას ერთმა აჯობა, მან 110 დეციბელის ძალით შეიცხადა: „ვინ მომპარა თეთრეული?!“

ყვირილის შემდეგ იაპონელები კვლავ თავაზიანად იღიმებიან, მოკრძალებით უხრიან თავს ერთმანეთს და ჩუმ-ჩუმად შინაგანად იძაბებიან, რათა მომავალ წელს ყვირილით განიმუხტონ.

იცით თუ ეს, რომ...

●

სათიბის პეპელა საოცარი სისწრაფით მრავლდება. ერთი პეპელა 0,025 გრამს იწონის, ზაფხულის ბოლოს კი მისი შთამომავლობა წონით 225 კილოგრამს აჭარბებს და ამ ხნის განმავლობაში 9000 კილოგრამ მწვანე მასას შთანთქავს.

●

ზოგიერთი მწერის მატლი დღე-ღამის განმავლობაში ჭამს 200-ჯერ უფრო მეტ საკვებს, ვიდრე თვითონ იწონის.

●

ხმელეთის ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 6-7 მილიონი მწერი ცხოვრობს.

●

შევარდენი არასოდეს ესხმის თავს მჯდომარე ფრინველს — ცაში აიჭრება, იქიდან პიკირებს მსხვერპლისაკენ და იჭერს მას. მისი სიჩქარე ამ დროს წამში 100 მეტრია (ანუ 360 კმ/სთ!).

●

ყველაზე ხშირი ბუმბული ჰქონია გედს — დაახლოებით 25 000, მტრედს „მხოლოდ“ 2600 აქვს.

●

შევარდენს შეუძლია შეამჩნიოს მჯდომარე მტრედი 1000, ხოლო მფრინავი — 1600 მეტრის მანძილზე. არწივი თაგვს სამი კილომეტრის სიმაღლიდანაც კი ხედავს.

●

კურდღლის რძეში 6-ჯერ მეტი ცხიმია, ვიდრე ძროხისაში.

●

ადამიანის მზერა მოიცავს 140°-იან სივრცეს, ფრინველებისა კი (ჭოტის გარდა) — მთელ 360°-ს, მაშასადამე, მათი ხედვის არე წრიულია.

●

ადამიანი და მაიმუნი ერთადერთი ძუძუმწოვრები არიან, რომლებიც განასხვავებენ ფერებს. სხვა ძუძუმწოვრებისთვის ყველა ფერი ან შავია, ან თეთრი.

●

კოღოს კბენას მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როცა მწერი უკვე ამოსწოვს სისხლს. საქმე ისაა, რომ ჩხვლეტისას კოღო კანქვეშ გვიშხაპუნებს ნერწყვის წვეთს, რომელსაც ტკივილგამაყუჩებელი თვისება აქვს.

●

მეხი არასოდეს ეცემა ფრინველს — მისი ბუმბული მშვენიერი იზოლატორია.

●

ტყის ჭიანჭველა დღე-ღამეში დაახლოებით 100 ათას, ხოლო ზაფხულის განმავლობაში — 4-5 მილიონ მავნე მწერს ანადგურებს.

●

ნოიეერ ნიადაგში 1 ჰექტარზე 5 მილიონამდე ჭიაყელა ცხოვრობს.

●

გველის შხამი ღორისთვის უვნებელია.

●

ანკარას შეუძლია წყალქვეშ (უჰაეროდ) დაჰყოს საათ-ნახევარზე მეტი, საკვების გარეშე — 300 დღეზე მეტი.



ნახატი-ხუმრობა

ულიგყვრ

მხატვარი

თემურ კოზაევი



შუასადების სიმტკიცეს შიგ ჩაყოლებული კორდის ძაფები უზრუნველყოფს.

● თუ გაბმულა ხერხის წინა ნაწილზე დაახლოებით ერთ კილოგრამ ტვირთს დაამაგრებ, მუშაობა საგრძნობლად გაგიადვილდება.



● ოთახის სპირალური რადიოანტენა ულამაზოდ რომ არ ჩამოეშვას, შიგ კაპრონის წვრილი საანკესე ძაფი (леска) გაუყარე და ბოლოებით იზოლატორებზე დაამაგრე.



● საბეჭდი მანქანის გამომშრალი ლენტის განახლება თურმე დიდ პრობლემას არ წარმოადგენს: ლენტი გაშალე, მთელ სიგრძეზე ვიწრო ზოლებად დაჭრილი ნახმარი საკოპირე ქაღალდი დააფარე და ცხელი უთო გადაუსვი. ლენტი კიდევ კარგა ხანს მოგემსახურება.



● ფლომასტერი თუ გამოგიშრა, დიდად ნუ დაღონდები. იყიდე ერთი ფლაკონი „რადუგა" (ავტოკალმის მელანი) და შიგ ფლომასტერი ჩაუშვი ისეთნაირად, რომ მელანში მხოლოდ საწერი კვანძის წვერო იყოს ჩაყოფილი. სულ რაღაც ნახევარ საათში შენი ფლომასტერი კაპილარული ეფექტის წყალობით ზუსტად იმდენ მელანს შეიწოვს, რამდენიც საჭიროა.

● წყალსადენის ონკანის რეზინის შუასადები მალე გამოდის ხოლმე მწყობრიდან, განსაკუთრებით ცხელი წყლის ზემოქმედებით, და ონკანს წყალი გასდის. გაცილებით მეტ ხანს გასძლებს თვითნაკეთი შუასადები, რომელიც ავტომანქანის ან მოტოციკლის ძველი საბურავისაგანაა გამოჭრილი. საამისოდ საბურავის გვერდითა მხარე ჯობს — მასალა აქ უფრო თხელია. ამ



საძიებელი

ვ. ასლამაზიშვილი — ოჯახის კაცი (ნარკვევი) . გარეკ. 2
გ. ვარაზანაშვილი — წინაპართა ნაკვალევზე (მოთხრობა) 3
თ. ჯანგულაშვილი — შიო მღვიმელის გახსენება (ლექსი) 9
ლ. ხარებათი — ბავშვს (ლექსი) 9
მ. გელაშვილი — შესაშური ერთგულება (წერილი) . . 10
ჯ. ინჯია — ჩვენი დრო (ლექსი) 11
ა. მეგრელიშვილი — ზაფხული (ლექსი) 11
ნ. გეზარაშვილი — ბებია (მოთხრობა) 12
მწერლის ფოსტა 13
ნ. ფავლენიშვილი — მე თითოეული მოსწავლისა მჯერა (ნარკვევი) 16
ა. სერაფიმოვიჩი — სამი მეგობარი (მოთხრობა) . . 16
კოცონი 22
საინტერესო სიახლენი 22
ა. გეთანელი — მოგზაურობა მარსზე (წერილი) . . 24
ნ. ლონდარიძე — როგორ ჩაეძინა შუქნიშანს (ზღაპარი) . 26
ვალენტინ კოტიკი (წერილი) 28
აისი 29
ჯადოსნური სარკე 30
გამოჩენილი ადამიანების ღიმილი . . 30
იცით თუ არა, რომ 31
გამოგადგები 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3
თ. ჯალაღანია — ნ. ფიროსმანაშვილი (წერილი) გარეკ. 4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ზურაბ მეძმარიაშვილისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეფიერული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 27.11.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.01.88 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,4; შეკვ. 2780. ტირაჟი 156.000, ეგზ., უე 09202.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9. Тираж 156000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1988 წ.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ-ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. იქ, ჰორიზონტზე რომ მოჩანს, იმ შორეული მთებიდან თეთრი არწივი აფრინდა, ფართოდ გაშალა ფრთები და შავი არწივი იფრინა, და გამოცლილი ყანწივით ტრამალზე გადაისროლა ის შავფრთიანი არწივი: 2. ცხენსა ჰგავს. მაგრამ არ არის ცხენი, თუმცა რაშივით ფაფარი შვენის, ზოლები აქვს და არ არის ვეფხვი, გამიხარდება, თუ პასუხს მეტყვი; 3. ბის ტოტებზე შემსხდარან ქარით ნანანავები პაწაწინა ბიჭები. სვანურქუდიანები; 5. მხოლოდ ტყეში ცხოვრობს, ერიდება ველებს, ერთნაირად ხმარობს ფეხებსა და ხელებს; 7. თითქოს უბრალო ჩიტია, მომცრო და შეუხედავი, მაგრამ მგოსანი ისეთი, მე და შენ ვიყოთ ნეტავი; 11. ტანზე უგრძესი კუდი და თავზე დიდი — პირი... მტაცებელია, მაგრამ მსხვერპლს როცა ულაპავს. ტირის; 14. ერთ უჩინმაჩინს ვიცნობ, მოსახელთებელს ძნელად, თუ დაუძახებ რამეს, გეპასუხება ხელად; 15. თუ მოინდომა, ხვრელიდან გველს გამოიყვანს გარეთ, ხან შაქარავით ტკბილია, ხან პილ-პილივით მწარე.



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. მე ვამჰირდა მიხვედრა, თქვენ გამოიცნობთ, ვიცი მე: მძიმეა, მაგრამ არავის აწუხებს მისი სიმძიმე; 6. სულ შრომობს, გაგიკვირდება, რა მუშაობის თავი აქვს. ბადეს ქსოვს, თუმცა იმ ბადით არასდროს უთევზავია; 8. მივდივარ და — წინ მიმიძღვის, მოვიხედავ— უკან მირბის; 9. მოუსვენრად, როგორც მაქო, უნიჩბოდ და უიალქნოდ, წინ ცხვირწამახვილებული, უკან ზონარგამობმული, ხან შიშინა, ხან მფშვინავი, მიდი-მოდის ერთი ნავი; 10. მივხვდებიო იოლად, არ იფიქროს არავინ: დადის ღამის გუშაგი, მუცლით დაჰქვს ფარანი; 12. ერთ მგალობელ ენას ვიცნობ, ადგილზე დგას. თანაც დადის, ტანთ აცვია არაფერი, თავზე ხურავს მუზარადი; 13. ჩავალაგე ტუაპუნები. ამოვყარე კნატუნები; 15. ივნისის ღამეს ვიხილე სურათი გასაკვირველი: სულ ერთი წამით მოფრინდა თვალისმომჭრელი ფრინველი.

შეადგინეს
ა. გორგიშვილმა
და ნ. მარიხიამ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

მცენარე ვიცი ისეთი,
მრავალ მოსავალს იძლევა
დღეს რომ მოსავალს აიღებ,
ხვალ ისევ წამოიზრდება,
იმისი მწარე ნაყოფი
კი არ იჭმევა — ისმევა.

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

ის რიცხვითი სახელია,
არის სამზე ნაკლები.
ბგერათაგან წინმდგომია
მხოლოდ გამოსაკლები.
რაჭაში რომ ქალაქია.
შარადისთვის გვჭირდება.
როცა შეკრებ — მდინარეა,
ლაღად მოედინება.

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ № 12-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲡᲔᲑᲣᲚ "ᲪᲮᲠᲐᲙᲚᲘᲜᲯᲣᲚᲖᲔ"

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 5. დაფიონი; 6. მტკვარი; 9. ობრაზცოვა; 12. ფრანი; 13. ურანი; 14. ჩანგი; 17. ვერდი; 18. ტაიჭი; 19. ქსელი; 20. ყვავი; 25. ლიონი; 26. მარლა; 27. მძივი; 30. გაკვეთილი; 31. მინკუსი; 32. სტიმული.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ფანფარა; 2. უნაბი; 3. ოტავა; 6. პროლოგი; 7. ზაირი; 8. აცანა; 10. ანდერსენი; 11. ჯავჯავაძე; 15. მდელო; 16. შაშვი; 21. დილოგია; 22. ქარვა; 28. ბლითი; 24. ყვავილი; 28. შანსი; 29. ფლოტი.

5:5

ვწერ მათთვის,
ვინაც პასუხის
მოწერა დააგვიანა:
ოთხს თითო ვაშლი მივეცი,
ერთს ვაშლი — კალათიანად.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ, ᲬᲘᲒᲜᲘ, ᲒᲣᲚᲘ, ᲡᲢᲐᲚᲐᲥᲢᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲐᲒᲛᲘᲢᲘ.

ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲘ, ᲝᲗᲮᲘ, ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲘ, ᲒᲝᲚᲘ, ᲐᲗᲘ, ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ.

ᲐᲛ ᲝᲠ ᲜᲐᲮᲐᲢᲖᲔ ᲘᲞᲝᲕᲔᲗ 11 ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ



ᲖᲐᲖᲐ ᲮᲣᲪᲘᲐᲜᲘᲫᲔ. თბილისი, 161-ე საშუალო სკოლა, X კლასი.

ᲛᲔᲢᲐᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

პასუხს სასწრაფოდ მოველი,
ყური დამიგდე კარგად:
დაბმული არის ყოველთვის
და მაინც ზოგჯერ კარგავ.
თუკი იმ ბგერას შეუცვლი,
რომელიც უზის თავში,
უკვე ნაძალის ხაზომი
ერეულია მაშინ.

საწყისად საგაზაფხულო
ხორბლის სახელი მითხარ,
ორმარცვლიანი სიტყვაა.
ფიქრი არ გინდა დიდხანს.
მერე კი მისი შუა
ბგერაც შეცვალო იქნებ,
მთის მარადმწვანე ციცქნა
ბუჩქად რომ გარდაიქმნეს.

თუ გაიხსენებ, რა ჰქვია
ხილს. საგანგებოდ გამხმარს,
იმ ბგერის შეცვლა უწევს,
რომელიც თავში ახლავს;
რასაც მიიღებ მერე,
ხაზის სახელი გახლავს.

Ш. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ფიროსმანაშვილი

ჩვენი საგამოფენო დარბაზი

„კალოობა“

დიდი ქართველი მხატვრის — ნიკო ფიროსმანაშვილის სახელი ამჟამად მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მისი ნამუშევრები აღფრთოვანებულ გაოცებას იწვევს, მას უძღვნიან ლექსებს, სიმღერებს, პიესებს, ფილმებს; ფიროსმანის პორტრეტები შეუქმნიათ სახელგანთქმულ მხატვრებს და მათ შორის — დიდ პიკასოს. მაშ, როგორ მოხდა, რომ მრავალი წლის მანძილზე განათლებულ საზოგადოებას ფიროსმანის ფერწერა მხოლოდ კურიოზად ეახლებოდა, როგორ ვერ ხედავდნენ მისი სამყაროს სიმდიდრეს, მისი ფერების მშვენიერებას?

ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ ფიროსმანის ხელოვნება სრულიად მოულოდნელი, თავისებური და ყოველივესგან განსხვავებული იყო და აკადემიურ, ტრადიციულ ფერწერას შეჩვეული ადამიანებისათვის — მიუღებელი. ეს მხატვარი ხომ ევროპული ფერწერის კანონებს არას დაგიდევდათ. მარტო იმას ფიქრობდა, როგორ დაეხატა თავისი სურათები უფრო მეტყველი და გამომსახველი.

მართლაც, ფიროსმანის ყველა ნამუშევარი მის მიერ შექმნილ განსაკუთრებულ სამყაროს ასახავს. ერთი შეხედვით, ფიროსმანი არაფერს უჩვეულოს არ ხატავს ხოლმე — პირიქით, მისი ქეიფები, ქორწილები, ცოველი — ყოველივე ეს ჩვეულებრივი და უბრალოა, მაგრამ ყველა სურათში ისე ძლიერად იგრძნობა მხატვრის განსაკუთრებული გუნება-განწყობილება — ამაღლებული, დინჯი, დიდებულებით აღსავსე, რომ სურათების ხასიათი ეპიკურ მნიშვნელობას იძენს.

დააკვირდით ფიროსმანის ამ სურათს — „კალოობა“. ამ ხიუჟეტს მხატვარი ხშირად მიმართავდა ხოლმე. სოფელში დაბადებულ ნიკოს ხომ ძალზე ენატრებოდა თავისი კახეთი, და თბილისიდან გული სულ სოფლისკენ მიუწევდა. ალბათ ამიტომაც არის ასეთი დიდი სიყვარულით გამთბარი ეს ნათელი და სუფთა ნახატი.

აქ ყველაფერი სადა და ცხოვრებისეულია: წინ გლეხებს ორი უღელი ხარი შეუბამთ და პურს ლეწენ, ერთი ნიჩბით მარცვალს ყრის; ქალს ბოხჩით სადილი მოაქვს, ბიჭი და ძაღლი კარავში სხედან. კრუხ-წიწილებიც კი არ დავიწყნია მხატვარს.

მაგრამ რამდენი სილამაზე ჩანს ამ უბრალო სცენაში! რა ფართო და ლაღია სურათის სივრცე, რა ოქროსფერი ნათელი ეფინება მას, რა სუფთა და თბილია ყვითელი, ყავისფერი, ნაცრისფერი, თეთრი, წითელი ფერები! აქ ყოველივე ისეთი ლამაზი და განწმენდილია, რომ მშვენიერ სიზმარს ან ოცნებას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე სოფლის ყოველდღიურობის ამსახველ სცენას.

მაგრამ, ამასთანავე, „კალოობა“ მიწიერი და ძარღვიანიც არის — იგრძნობა, რომ მხატვარი განუყოფლადაა შერწყმული თავის ხალხთან, თავისი ქვეყნის ცხოვრებასთან, რომ მას ქართულ მიწაში უდგას ფესვები.

პოეტურობისა და რეალურობის ასეთი შერწყმა ძალზე დამახასიათებელი იყო ფიროსმანისთვის. ამით ხიბლავს და აჯადოებს იგი მნახველს. მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა, რომელიც მას ბედმა არგუნა, ნიკო ფიროსმანაშვილმა შეინარჩუნა სიცოცხლის სიყვარული. ეს გრძნობა იღვრება მისი ულევი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით აღბეჭდილი ნახატებიდან და გულის სიღრმემდე სწვდება მაყურებელს.

თეიმ. ჯალაღანია,
ხელოვნებათმცოდნე.